ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ნატოს სამიტის ფარგლებში საქართველო-რუსეთის კონფლიქტზე იმსჯელებენ

გვ.5

„ბლუმბერგი“: „მტრობა ალიანსის ლიდერებს შორის სახიფათო დროს მიმდინარეობს“

6 ივლისიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი ტომი 6-7

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

შაბათი – კვირა, 7 – 8 ივლისი, 2018

№159 (7704)

ფასი: 60 თეთრი

„ღარიბაშვილი, კალაძე და კვირიკაშვილი ივანიშვილს აუბუნტდნენ“

„ბათუმში ყოველ მესამე სახლში რუსეთის აგენტები ცხოვრობენ“

გვ.3

ჯელალ ქიქავა: „ძალიან მალე ბიძინა თავს გამოისყიდის და სამუდამოდ მოსცილდება საქართველოს ხელისუფლებას“

გვ.2

ზვიად კუპრავა: „ვილნიუსში საქართველოს სპეცსამსახურები მითვალთვალებდნენ“

„დეპუტატმა სოფო კილაძემ ქვეყანა საერთაშორისო სკანდალში გახვია“

„კვირიკაშვილი ისეთი გაბრაზებული წავიდა, სახლში მშვიდად არ დაჯდება“

კონსტანტინე გამსახურდია: „უსუფაშვილის წერილი მარგველაშვილისადმი იყო შეთავაზება შეთავაზებისთვის“

გვ.2

სამართალი

გვ.4



„გზაზე შევნიშნე ღია ფერის მანქანა, რომელმაც ბმვ-ს ჩაუარა“

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის პროცესი გაიმართა



პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური ისევ დაჭრეს

მას ოთხი ცეცხლსასროლი ჭრილობა აქვს

„მძღოლი მთვრალი იყო“

დ.თ., რომელმაც თბილისში 3 ადამიანი იმსხვერპლა, დაკავებულია

ეკონომიკა

გვ.6

ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სოციალურად დაუცველებს შემწეობის მიღება აღარ შეუწყდებათ

ხელისუფლებამ ვერ შეძლო ჭუბერში ხე-ტყის უკანონო ჭრის აღეკვეთა

2017 წელს აუქციონზე 1,258 იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი გაიყიდა

ISSN 1987-9385

6 საქართველოდან 4.4 ათასი ტონა ატამია ექსპორტირებული

5 სოზარ სუბარი – ჭუბერში სტიქიის შედეგად 21 სახლი დაზიანდა, მათგან 7-9 მძიმე მდგომარეობაშია

6 ლევან დავითაშვილი – 2-3 წელიწადში საქართველო სწრაფი გაფრთხილების სადგურებით მთლიანად დაიფარება

2 მთავარი პროკურორობის კანდიდატებად შალვა თადუმაძე, შალვა შავგულიძე და ნინო გოგნიაშვილი დასახელდნენ

„კვირიკაშვილი ისეთი გაბრაზებული წავიდა, სახლში მშვიდად არ დაჯდება“

კონსტანტინე გამსახურდია: „უსუფაშვილის წერილი მარგველაშვილისადმი იყო შეთავაზება შეთავაზებისთვის“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, კონსტანტინე გამსახურდია, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კონსტანტინე, დავით უსუფაშვილმა გიორგი მარგველაშვილს ღია წერილით მიმართა, სადაც ის მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გაერთიანებას სთხოვს, რასაც ექსპერტების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ოპოზიციურ ფლანგზეც გაურკვევლობაა. რატომ?

– „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით პოლიტიკური ლანდშაფტის გაუდაბურება მოახერხა. ამიტომაც არის, რომ ინიციატივები, რომლებიც პარტიებიდან საპრეზიდენტო და ნებისმიერი არჩევნების წინ უნდა მოდიოდეს, არ ჩანს.

უსუფაშვილის შეთავაზება მარგველაშვილისადმი არის შეთავაზება შეთავაზებისთვის, რადგან ამას შედეგი არ მოჰყვება. ასე არ ხდება შეთავაზება. თუ შედეგი გინდა მიიღო, მსგავსი მოლაპარაკებები ყოველთვის არასაჯარო ფორმატში ხდება და შემდეგ, ცხადია, ამას იგებს საზოგადოება, ამომრჩეველი.

– პრეზიდენტი მარგველაშვილი შეიძლება კვლავ ვიხილოთ, როგორც კანდიდატი?

– ვერ გეტყვით. მე ვფიქრობ, რომ თავადაც კი არ აქვს ჯერ გადაწყვეტილება მიღებული.

– რა აყოვნებს?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ის „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს ელოდება. თუ სახელისუფლებო პარტიის კანდიდატი იქნება, როგორც იტყვიან, სხვას ყველას ველოდით, მაგრამ ამას არა, მაშინ ის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი და მე არ გამოვრიცხავ, რომ მეორე ტურიც გაიმართოს. ამიტომაც არის, რომ გიორგი მარგველაშვილი არ ჩქარობს და ჯერ თავის კარტებს არ შლის. პოლიტტექნოლოგიურად ეს სწორი სვლაა.

– ამდენი ხნის განმავლობაში საპრეზიდენტო კანდიდატი რომ ვერ შეარჩია მმართველმა პარტიამ, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მას კანდიდატი არ ჰყავს თუ ძლიერს ეძებს?

– რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ კანდიდატი არ ჰყავს. არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ივანიშვილი, რომ ამ არჩევნებზე წაბორძიკდეს, ამიტომ ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რეალური კანდიდატი შეარჩიოს.

– რატომ, მისი რეიტინგი ხომ იმუშავებს?

– მისი რეიტინგი კი იმუშავებს, მაგრამ ისე ვერა, როგორც სხვა არჩევნების დროს მუშაობდა. „ვინც უნდა იყოს“, უკვე ეს პრინციპი არ იმუშავებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ აქამდე არაოფიციალურად, ჭორის დონეზე გავრცელებული კანდიდატები მოსინჯვისთვის იყო შემოგდებული, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაიმსახურა საზოგადოების ნდობა.

– ოპოზიციურ კანდიდატებშიც სერიოზული გაურკვევლობაა.

– გასაგები მიზეზების გამო. წარმოიდგინეთ, როდესაც სახელისუფლებო პარტია ვერ ასახელებს კანდიდატს, ოპოზიციას მით უფრო გაუჭირდება ეს პროცესი. დღეს პოლიტიკურ ავანსცენაზე ოპოზიციურ ფლანგზე ვინ ჩანს? – რასაკვირველია, „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა, რაც აბსოლუტურად არის „ქართული ოცნების“ შეგნებული არჩევანი.

– რატომ?

– ერთად თავს გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. ეს პირადად ბიძინა ივანიშვილის არჩევანია.

– „ქართული ოცნება“ გეტყვით, რომ ეს ამომრჩევლის არჩევანია.

– ისევე, როგორც იყო გიორგი თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ სააკაშვილის დროს, როგორც მთავარი ოპოზიცია პარლამენტში. სამწუხაროდ, ეს პარალელები იკითხება. ამიტომაც ძალიან ძნელია, მზარდი ოპოზიციური პოლიტიკური ცენტრი გაჩნდეს, რომელიც რეალურ კონკურენციაში შევა ხელისუფლებასთან და შემდეგ მისი ალტერნატივა შეიძლება გახდეს კიდეც.

– არ არის გამორიცხული, რომ ყოფილმა პრემიერმა კვირიკაშვილმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ახალი ოპოზიციური ძალა შექმნას. თუ ეს გადაწყვეტილება მიიღო კვირიკაშვილმა, რა შანსები ექნება?

– გავრცელებული ინფორმაცია, რომ ის გარიცხეს პარტიიდან, პარტიის პოლიტსაბჭო დატოვა და ა.შ. ამ ყველაფრის შემდეგ უკვე „ოცნების“ დეპუტატებისგან გაკეთებული მკვახე-მკვახე განცხადებები ალბათ ამ ნაბიჯისკენ უბიძგებს. თუ ივანიშვილმა შესაძლებლობა მისცა, რომ ახალი ოპოზიციური ძალა გაჩნდეს, მაშინ საქმე სერიოზულად იქნება, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

კვირიკაშვილი ისეთი გაბრაზებული წავიდა, რომ არ მგონია, სახლში მშვიდად დასაჯდომად განეწყოს. ის ალბათ შეეცდება, გარკვეული პოლიტიკური სვლები გააკეთოს, მაგრამ, რა შედეგს მოუტანს, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

მთავარი პროკურორობის კანდიდატებად შალვა თადუმაძე, შალვა შავგულიძე და ნინო გოგნიაშვილი დასახელდნენ

მთავარი პროკურორობის კანდიდატებად შალვა თადუმაძე, შალვა შავგულიძე და ნინო გოგნიაშვილი დასახელდნენ. საპროკურორო საბჭოს მიერ კანდიდატების დასახელების შესახებ დღეს გახდა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ შერჩეულმა კანდიდატებმა პირველ რიგში გასაუბრება უნდა გაიარონ, რის შემდეგაც ერთ-ერთმა მათგანმა საპროკურორო საბჭოს მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს, ამის შემდეგ კი შერჩეული კანდიდატურა დასამტკიცებლად მთავრობას გადაეგზავნება.

მთავარი პროკურორობისთვის სულ 21 კანდიდატი იბრძოდა, თუმცა რამდენიმე დღის წინ სამმა მათგანმა კანდიდატურა მოხსნა და შერჩევის ბოლო ეტაპზე მხოლოდ 18 კანდიდატურა განიხილებოდა.

შალვა თადუმაძის და ნინო გოგნიაშვილის კანდიდატურები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარადგინა, შალვა შავგულიძის კანდიდატურა კი – „ევროპულმა საქართველომ“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობა ვადაზე ადრე დატოვა ირაკლი შოთაძემ. ყოფილმა მთავარმა პროკურორმა თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ და მთავარ პროკურატურასთან, ზაზა სარალიძისა და მისი მხარდამჭერების საპროტესტო აქციების დროს მიიღო.

ზვიად კუპრავა: „ვილნიუსში საქართველოს სპეცსამსახურები მითვალთვალებდნენ“

„დეპუტატმა სოფო კილაძემ ქვეყანა საერთაშორისო სკანდალში გახვია“

შორენა მარსაგიშვილი

რა შეცდომა დაუშვა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, რა ედო ჩანთაში, რომელიც ვილნიუსიდან ჩამოიტანა, რა აკავშირებს გია უდესიანთან, რა დაადგინა პარლამენტმა მის ზონდერობაზე? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

– ამ დღეებში ხორავას ქუჩის საქმეზე თქვენ ჩვენება მიეცით პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, დადებს რამე შედეგს ეს კომისია?

– ეს კომისია თავიდან ბოლომდე არის მასხარაობა. ჩემთან მიმართებაში კითხვების დასმაში ძირითადად აქტიურობდნენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები. მათი კითხვების 95% შემხებლობაში არ იყო ხორავას ქუჩის საქმესთან. მათ ასეთი კითხვები ჰქონდათ: სად ვმუშაობდი, რას ვაკეთებდი.

მამუკა მდინარაძემ სამართლებრივი შეფასება მთხოვა იმ განაჩენისა, რომელიც მოსამართლემ ხორავას ქუჩის საქმეზე გამოიტანა. რა შუაშია იყო გამოძიებასთან განაჩენის ჩემი სუბიექტური შეფასება, ვერ გავიგე. მდინარაძეს ვუთხარი კიდეც, ეს საქმესთან კავშირში არ არის და სუბიექტური აზრი თუ გაინტერესებს, სადმე რესტორანში დავსხდეთ და იქ მოგიყვები შთაბეჭდილებებზე.

მკითხეს, ვიცნობდი თუ არა გია უდესიანს. სასამართლოს განაჩენი კიდევ მესმის, მაგრამ ეს ადამიანი რა შუაშია ხორავას საქმესთან?!

– ეს კითხვა ალბათ იმიტომ დასვეს, რომ თქვენ გია უდესიანის ბიჭს შეხვდით.

– არც მის შვილს შევხვედრივარ. აეროპორტში ვიყავი, როცა ჩემთან მოვიდა ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი. ქუჩაში რომ გავდივარ, ჩემთან ძალიან ბევრი ადამიანი მოდის. მეკითხებიან სამომავლო გეგმების შესახებ და მგულშემატკივრობენ. უდესიანის ბიჭიც ასე მოვიდა. მანამდე ის ნანახიც კი არ მყავდა.

– თავად უდესიანი?

– გია საერთოდ არ მყავს ნანახი. ფეისბუქმეგობრებში მყავს, ამის იქეთ ჩვენი ნაცნობობა არ მიდის და თუ ამას თვლიან დანაშაულად, არ ვიცი. ისე რომც ვიცნობდე უდესიანს, რა პრობლემაა.

სოფო კილაძემ თავისი კითხვებით სულ გამაგიჟა. მითხრა, თქვენ საკმაოდ რთულ დროს წახვედით ვილნიუსშიო. მე მართლაც ვიყავი ვილნიუსში, მაგრამ ამის შესახებ ჩემი ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ. მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა ამის თაობაზე.

როდესაც დავბრუნდი და მეკითხებოდნენ, სად იყავიო, ვეუბნებოდი, რომ ვიყავი ევროპაში, მაგრამ არ

ვაკონკრეტებდი, რომელ ქალაქში ვიმყოფებოდი. ქალაქს შეგნებულად არ ვასახელებდი, ვიცოდი, რომ სადღაც გაიხლართებოდნენ.

– სოფო კილაძემ ეს საიდან გაიგო?

– აი, ეგ არის დასადგენი. მე კი ვიცი, საიდანაც მოიტანა, გომელაურმა უთხრა. მთელი ამბავი ისაა რომ პროკურატურისგან ამ ამბის გამოძიება მოვითხოვე. სოფო კილაძე აუცილებლად უნდა დაიკითხოს.

სოფო კილაძე კითხვებს მისვამდა ჩანთასთან დაკავშირებით, ამტკიცებდა, რომ იქ გადმომცეს ჩანთა. ისე უნდოდა წარმოეჩინა, რომ თითქოს ფული ჩამოვიტანე. ფული რომ წამომეღო, სუსი აეროპორტშივე ამწევდა. ის ჩანთა არავის არ გადმოუცია, თბილისიდან წავიღე. იქ მედო პირადი ნივთები. საუბარია მცირე ზომის, მხარზე გადასაკიდებელ ჩანთაზე.

როცა ევროპაში წავედი, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ სუსი გამომყვა. ეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემაც დაადასტურა. მან ეს ინფორმაცია სწორედ სუსისგან შეიტყო.

მე ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობ ვილნიუსთან. ამ ქვეყნის საელჩოსაც მოვაწოდე ყველანაირი ინ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ღარიბაშვილი, კალაძე და კვირიკაშვილი ივანიშვილს აუბუნტდნენ“

ჯელალ ქიქავა: „ძალიან მალე ბიძინა თავს გამოისყიდის და სამუდამოდ მოსცილდება საქართველოს ხელისუფლებას“

შორენა მარსაგიშვილი

ჰა სჯანდაღი მოუნყო დეპუტატმა ვახტანგაძემ პატარაძეს, ჰა მისითი ჩავიდნენ ბათუმში ჰესი აგენტები, ვინ შეეცადა ივანიშვიღის ჩაჩოჩებას, ჰა ბედი ეღის ჯახა ჯაღაძეს, ჰა იხსნის ხეღისუფღებას ჰევოღუსიისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ახასამთავჰობო ოჩგანიზაცია „სამართღიანობა და დემოკრატიის პრინციპების" ხეღმძღვანეღი ჯეღალ ქიქავა ესაუბჰება.

– ზურაბ პატარაძის გადადგომის შემდეგ, აჭარა მთავრობის მეთაურის გარეშე დარჩა. თქვენი ინფორმაციით, ვინ დაიკავებს ამ თანამდებობას?

– გადაჭრით არაფერია ჯერ ცნობილი. „ოცნებაში“ რამდენიმე კლანია და ყველა შეეცდება საკუთარი კანდიდატურის გაყვანას. აჭარა ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია და იქ საკუთარი კადრის დასმა პატარა ამბავი არ არის. ამ ეტაპზე გამოიკვეთა რიეუმაძის კანდიდატურა, რომელსაც კახა კალაძე ლობირებს. ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, თბილისის მერი აშკარად ჭკვიანია.

– პატარაძე რატომ გაუშვეს? მიზეზი მართლა ისაა, რომ კვირიკაშვილის კადრი იყო?

– რაის კვირიკაშვილის კადრი? სულ სხვა მიზეზით წავიდა პატარიძე. ნახევარი პარლამენტი კვირიკაშვილის კადრია და მაშინ ისინიც გაყარონ. პარლამენტში აჭარიდან ძირითადად ექიმები გაიყვანეს. ეს ექიმი-დეპუტატები ითვლებოდნენ კვირიკაშვილის გარემოცვად.

პატარაძე იმიტომ წავიდა, რომ არც მენეჯერი იყო და ვერც ლიდერად გამოდგა. მისი მოსვლის დღიდან მოყოლებული ვამბობდი, რომ ეს კაცი ვერ გაამართლებდა. არ შეიძლება ადამიანი დიპლომატიურ სამსახურში იყოს და უცბად გახდეს ლიდერი. ლიდერობას სულ სხვა ფსიქოლოგია სჭირდება.

– აქედან გამომდინარე, თქვენ მისი წასვლა დადებითად უნდა შეაფასოთ.

– კი ბატონო, დადებითად ვაფასებ, მაგრამ დავაზუსტებ, რომ ის საკუთარი ნებით არ წასულა, პატარაძე გაათავისუფლეს.

– ვინ გაათავისუფლა?

– იმან, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს. გადაწყვეტილების მიმღებმა თავის დროზე აჭარის რეგიონი არჩილ ხაბაძეს ჩააბარა. შეიძლება ხაბაძეს რამე ჩააბარო? აგენი დაღუპავენ ამ ქვეყანას. დაიმახსოვრეთ რასაც ახლა ვიტყვი – გინდა რიეუმაძე მოვიდეს აჭარაში, გინდა პეტრიძე და გინდა სტალინაძე, რეგიონს არაფერი არ ეშველება. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვინ გახდება საქართველოს პრემიერი. ქართული პოლიტიკიდან სანამ ივანიშვილი არ ამოიძირკვება, ქვეყნის საშველი არ იქნება. საქმე უარესობისკენ წავა.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ „ოცნება“ ერთმანეთს ჭამს და ქვეყნის ბიუჯეტს ყველა თავისკენ ექაჩება. გადაწყვეტილებას ივანიშვილი იღებს, ყველა დანარჩენი არის მისი მონა. მონებითაა სავსე როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობები.

ბიძინას ერთ რამეზე ეკუთვნის მადლობა – მან მთელ საქართველოს დაანახა ამ მონების, უსაქმურების და მლიქვნელების ნამდვილი სახეები. ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ შეხედავ, იცი, როგორი არ უნდა იყო. „ოცნების“ წარმომადგენლებისთვის რომ გეკითხა, თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, სინამდვილეში მონობა და ლუკმა უნდოდათ.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ „ოცნებაში“ ბევრი კლანია და ისინი ერთმანეთს ჭამენ. შეგიძლიათ ჩამოთვალოთ, ვისი კლანებია მმართველ გუნდში.

– იმდენი კლანია, მაგათ რა ჩამოთვლის ამ სიცხეში. ერთმანეთის დაჭმაზე ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც სხვანაირ ჭამა-სმასაც უკავშირდება. ცოტა ხნის წინ რესტორან „მახინჯაურში“ გაიმართა ბანკეტი. ამ ბანკეტს ესწრებოდა ზურაბ პატარაძე. იმ დროისთვის ჯერ ისევ აჭარის მთავრობის მეთაური იყო.

ბანკეტი ის-ის იყო ეშხში შევიდა, რომ იქ მივარდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დეპუტატი და აურია სუფრა.

– დეპუტატის ვინაობას არ ასახელებთ?

– ვინ გითხრათ, რომ არ ვასახელებ. რესტორან „მახინჯაურში“ ბანკეტის სუფრა აურია საქართველოს პარლამენტის წევრმა მუხრან ვახტანგაძემ.

– ეს ვახტანგაძე თქვენ არ გერჩოდათ? ბანკეტზე რატომ მივარდა?

– აღმოჩნდა, რომ მარტო მე არ მერჩის. მან ბანკეტზეც იჩხუბა. მივარდა თუ არა იქ ვახტანგაძე, პატარაძემ სუფრა დატოვა და წავიდა. გარეთ გამოვიდნენ სუფრის სხვა მონაწილეებიც და გარეთ გააგრძელეს ჩხუბი. იქ მყოფმა ბიჭებმა სცადეს ჩხუბის გადაღება, მაგრამ ვერ მოახერხეს.

– რატომ ვერ მოახერხეს?

– ღამე იყო და ძალიან ბნელოდა.

– ვახტანგაძე რატომ მივარდა იმ ბანკეტზე, ეს არის ცნობილი?

– როგორც თვითმხილველები ამბობენ, ძალიან გაბრაზებული იყო. სუფრის წევრებს სულ მკვდარ-ცოცხალი აგინა. ბანკეტზე რომ არ დაპატიჟეს, ეგ ეწყინა თურმე ძალიან.

– ამ ჩხუბზე რატომ აქამდე არ გავრცელდა რაიმე ინფორმაცია?

– მე ახლახან გავიგე და გიყვებით დეტალებს. მეტი დეტალი ცოტნე ანანიძემ იცის, მაგრამ მეეჭვება რამე მოყვეს.

– ცოტნე ანანიძემ საიდან იცის?

– იქ იყო და ეგ აშველებდა მოჩხუბრებს.

– ისე რატომ არ დაპატიჟეს ვახტანგაძე ბანკეტზე?

– მაგი არის რეგიონის მთავარი ზონდერი. სიმთვრალეც ცუდი აქვს და ეტყობა არ უნდოდათ კულტურულ სუფრაზე ზონდერი. არადა დრო იყო, პატარაძე და ვახტანგაძე კარგად იყვნენ. ჩემზე თავდასხმიდან ცოტა ხანში აჭარის მთავრობის ყოფილმა მეთაურმა მთავარ ზონდერს ოფიციალურად დაკიდა მედლები. მისი სახელობის ტურნირიც კი ჩაატარეს ჭიდაობაში და მერე დიდი ამბით მიუსხდნენ მაგიდას. ახლა ერთმანეთს დაერივნენ. რა უნდა გითხრათ, ესენი არიან გათახსირებულები.

– როგორ გგონიათ, აღიძრება ამ ინციდენტის გამო ვახტანგაძეზე საქმე?

– რა საქმე უნდა აღიძრას? არავინ მაგას არ უჩივლებს. ქოცები მართალია ერთმანეთს ჭამენ, მაგრამ ერთმანეთის წინააღმდეგ საჩივარი არ შეაქვთ. არც ის გამორიცხოთ, ცოტა ხანში ისევ ძმაკაცებად მოგვევლინონ. ესენი ხომ ჯერ სცემენ ერთმანეთს და მერე უარყოფენ.

ამის მერე ქოცებს რა უნდა ელაპარაკო? დღეს ქვეყანაში არის ერთი გამოსავალი – ხელისუფლება უნდა წავიდეს. მათი გადარჩენა ახლა მხოლოდ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს შეუძლია. მხოლოდ ეს შეუმსუბუქებს მათ განაჩენს.

– ვადამდელი არჩევნები რანაირად შეუმსუბუქებს მათ განაჩენს?

– წააგებენ და წავლენ, როგორც დამარცხებულები. არჩევნებზე უარს თუ იტყვიან და ვირზე შეჯდებიან, ხალხი ამათ ძალიან მწარე პასუხს გასცემს.

– თქვენი აზრით, დანიშნავენ ვადამდელ არჩევნებს თუ ვირზე შეჯდებიან?

– იმდენი უკმაყოფილო ადამიანია ქვეყანაში, ვირზე შეჯდომა არც კი უნდა გაიფიქრონ. ერთადერთი, რისიც მეშინია, ეს არის არეულობა. არავის არ გვინდა, რომ კიდევ ერთხელ განმეორდეს ბათუმის მოვლენები.

– გასულ წელს ბათუმში მომხდარი არეულობა გაქვთ მხედველობაში?

– დიახ. ის რაც მაშინ ბათუმში მოხდა, არსად არ უნდა განმეორდეს. ჩვენ, საკუთარი თვალით ვნახეთ თუ რა არის უმართავი ხალხი. ეს არის უბედურება, ეს თქვენ არ გინახავთ და არც არასდროს განახოთ ღმერთმა. წარმოიდგინეთ, როგორი სანახავია, როცა გადარეული ახალგაზრდები წვავენ მანქანებს და ლეწავენ ყველაფერს.

ვადამდელ არჩევნებზე უარს თუ იტყვიან, ბათუმის მოვლენები შეიძლება მთელი ქვეყნის მასშტაბით დატრიალდეს. ხალხის რისხვას მერე ვეღარაფერი ჩაახშობს. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც 90-იანი წლები გამოიარა. ჩვენ ვნახეთ, როგორ კლავდა ქართველი ქართველს.

– 90-იანები ახსენეთ და უკვე ბევრი პოლიტიკოსი ამბობს, რომ საქართველოში ეს პერიოდი დაბრუნდა. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– მეც იმას ვიტყვი, რომ 90-იანები დაბრუნდა. იმ პერიოდისგან მხოლოდ ერთი რამ განგვასხვავებს – მაშინ „ჟიგულებით“ დადიოდნენ, ახლა ინომარკებით დადიან. სხვა დანარჩენი იგივეა – ნარკოტიკებიც თავისუფლად იყიდება.

რამდენიმე ხელისუფლება გამოვიცვალეთ და უკვე ვიცით, როდის დგება ხელისუფლების ბოლო ჟამი. დასრულებას წინ აგონია უძღვის ხოლმე. ახლა სწორედ აგონიაშია ხელისუფლება. აგონიაში როცა არიან, შეცდომას მაშინ უშვებენ. შეცდომების დაშვებაში ამათ ხელი არც უნდა შეუშალო. მივუშვათ ნებაზე და ნახავთ, რა დონის შეცდომებს დაუშვებენ.

– ეს შეცდომები ქვეყანას არაფერს ავნებს?

– სადღაა ქვეყანა? სახელმწიფო თავზე დაგვანგრიეს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ბათუმში ყოველ მესამე სახლში ცხოვრობენ აგენტები.

– ვისი აგენტები?

– ვისი აგენტები იქნებიან? რუსების, რა თქმა უნდა. ბათუმში რუსების შემოსევაა.

– ამდენი აგენტი რა ჭირად უნდათ?

– როგორ რად უნდათ! სერიოზული მუშაობა მიდის. მოსკოვი ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველო ხელიდან არ გაუშვას. შემოსეულები კი არიან, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვათ ამ რუსებს. ჩვენ, ქართველები უკვე ისე მივეჩვიეთ თავისუფლებას, რომ უკან ვერავინ ვერ დაგვაბრუნებს, ვერც ბიძინა და ვერც მისი პუტინი.

– ისევ აგენტებს დავუბრუნდები და ამდენი აგენტის შენახვა არ უჭირს რუსეთს?

– იქეთ ინახავენ რუსეთში ვიღაცებს. რუსეთის აგენტებს ბათუმში სერიოზული ბიზნესები აქვთ. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ, მაგრამ რაღაც რუსულ ლეგენდებს ავრცელებენ ხალხში. მოკლედ რომ გითხრათ, ძალიან მაგრა მუშაობენ. მუშაობენ იმიტომ, რომ ამის საშუალებას მათ საქართველოს ხელისუფლება აძლევს.

– ამ აგენტებთან ასლან აბაშიძეც ხომ არ არის კავშირში?

– არა, რა ასლან აბაშიძე? მაგისი დრო წასულია უკვე. ან თავის დროზე რას წარმოადგენდა, 80 წლის ასაკში რომ რამე ქნას.

– თავის დროზე აბაშიძე ძალიან მაგარი იყო.

– მაგარი არა ის. ასლანის სიმაგრე იყო რუსეთი. ის მანამდე იყო მაგარი, სანამ ჩვენს რეგიონში რუსის ჯარი იდგა. წავიდნენ თუ არა რუსები, ასლანი გახდა პარიკმახერი.

– პარიკმახერი რატომ?

– პარიკმახერი იყო თავიდან. პარიკმახერებს სად ჰქონდათ რეგიონის მართვის უნარი.

– აბაშიძე არ მოგწონთ გასაგებია, მაგრამ პარიკმახერებს რას ერჩით?

– არაფერს არ ვერჩი. ვამბობ, რომ პარიკმახერი ქვეყანას ვერ მართავს.

– ამ განცხადების გამო თქვენი პარიკმახერი ოპოზიციაში არ ჩაგიდგეთ,

– სადღა არიან პარიკმახერები. ახლა არიან სტილისტები. ვინც მე თმას მაჭრის, ისიც სტილისტია. ისევე, როგორც ძველი ბოზები ახლანდელ ბოზებს არ გავენ, ისე განსხვავდებიან სტილისტები პარიკმახერებისგან. ჩვენც ვერკვევით თანამედროვე რაღაცებში.

– ახალ და მცირე მთავრობაზეც მინდა გკითხოთ, თქვენი აზრით, ეფექტურად იმუშავებს ბახტაძის მთავრობა?

– რაის ეფექტურობა? წინაზე ბევრად უარესი იქნება. მთავრობის შეცვლას მანამდე არ ექნება აზრი, სანამ ივანიშვილს საქართველოდან არ მოვიშორებთ.

თქვენ ხედავთ, რომ ინტელიგენციას იმდენი რაღაც ჩოუდო ივანიშვილმა პირში, ლუკმაზე მაქვს საუბარი, საერთოდ გასუსულები არიან. ქვეყანაში სადაც ინტელიგენცია დადუმდება, იქ კარგი აღარაფერი აღარ მოხდება.

ძალიან მალე ბიძინა თავს გამოისყიდის და სამუდამოდ მოსცილდება საქართველოს ხელისუფლებას. თქვენი აზრით, რატომ ყიდულობს ასეთი გამწარებით ამდენ ქონებას. თავისი ნაყიდიდან 10% რომ მაინც დარჩეს, ის კმაყოფილი იქნება.

– ამით რისი თქმა გინდათ, რომ ის ქონებას დაკარგავს?

– ქონების დიდ ნაწილს ჩამოართმევენ. ესაა პოლიტიკა და ამისთვის ყველა უნდა იყოს მზად. ბიძინა უკვე შეგუებულია იმას, რომ ქონებას დაკარგავს, მაგრამ ისიც უნდა იცოდეს, რომ მის მოდგმას საქართველოში ცხოვრება გაუჭირდება.

– რატომ გაუჭირდება?

– იმიტომ, რომ ბიძინამ უამრავი სიშტერე გააკეთა. ფულის შოვნის ნიჭი კი ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკაზე წარმოდგენა არა აქვს. მისი ლოგიკით, მაცი ხვიტია ბაში-აჩუკის ბიძაშვილია და ორივეს მაია წყნეთელის ძუძუ აქვს ნაწოვი.

– ეს როდის თქვა ბიძინამ? რაღაცებს ნუ უგონებთ.

– მე რას ვუგონებ, ისეთ სიშტერეებს იგონებს, ასე ფიქრობს დარწმუნებული ვარ. პოლიტიკის აზრზე რომ ყოფილიყო, გუნდი აბუნტებას ვერ გაუბედავდა. სწორედ ამ ბუნტმა დააბრუნა ივანიშვილი პოლიტიკაში.

– ვინ აუბუნტდა?

– კახელების კლანი, კვირიკაშვილის კლანი და კალაძის კლანი.

– რაში გამოიხატება მათი აბუნტება?

– სამივე კლანმა ძალიან დიდი ფული იშოვა. სამივე კლანმა მონახა პატრონი რუსეთში. ახლა მათ ბიძინა აღარ სჭირდებათ. ამას ივანიშვილიც მიხვდა და მეორედ მოვიდა პოლიტიკაში.

კახელების – ღარიბაშვილის და კვირიკაშვილის კლანის ჩაჩოჩება უკვე მოახერხა, ახლა კალაძის ჯერია. კალაძის ჩაჩოჩება თუ ვერ მოახერხა, უფრო ადრე დამთავრდება მისი საქმე.

პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური ისევ დაჭრეს

მას ოთხი ცეცხლსასროლი ჭრილობა აქვს



საქართველოს პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური დაჭრეს.

მკურნალი ექიმის განმარტებით, პაციენტის ჯანმრთელობა სტაბილურია, მას ოთხი ცეცხლსასროლი ჭრილობა აქვს.

ექიმის განცხადებით, გოგოჭურის გამოკითხვა მას შემდეგ მოხდება, რაც რეანიმაციული განყოფილებიდან პალატაში გადაიყვანენ.

– ცეცხლნასროლი ჭრილობები აღენიშნება ორივე ბარძაყის შუა მესამედში გამჭოლი და ასევე წვივის მესამედში ისიც გამჭოლი. ქირურგიული და ტრავმატოლოგიური ბრიგადების მიერ ჩატარდა ოპერაციული ჩარევა, რაიმე მაგისტრალური სისხლძარღვის დაზიანება არ აღენიშნება, – აცხადებს ტრავმატოლოგი ვაჟა კახნიძე.

მომხდარზე გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო.

მინდია გოგოჭური მაშო ჩიჩუას მეუღლეა. ის 2017 წლის იანვარში ასევე ფეხის არეში დაჭრეს. მაშინ ინციდენტი თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩაზე მოხდა.

მინდია გოგოჭურის დედის თქმით, მას არ აქვს ინფორმაცია, თუ ვის შეიძლება დაეჭრა მისი შვილი. როგორც მარინა გოგოჭურმა ჟურნალისტებთან განაცხადა, ის საავადმყოფოში მისვლას დღეს აპირებს.

– საავადმყოფოში არ ვყოფილვარ. ვიცი, რომ მდგომარეობა მძიმეა. დღეს ვგეგმავ მისვლას. დეტალები არ ვიცი. არც ის ვიცი, ვის სურდა ჩემი შვილის დაჭრა, – აღნიშნა მინდია გოგოჭურის დედამ.

მინდია გოგოჭურის დაჭრის შესახებ მეზობლები დამატებით ინფორმაციას არ ფლობენ. მეზობლების განმარტებით, მომხდარის თაობაზე მედიით გაიგეს. როგორც ისინი ყვებიან, წუხელ არც გასროლის და არც შელაპარაკების ხმა არ გაუგიათ.

ამჟამად სახლი, რომელშიც მინდია გოგოჭური ცხოვრობს, დაკეტილია.

„გზაზე შევნიშნე ღია ფერის მანქანა, რომელმაც ბმვ-ს ჩაუარა“

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის პროცესი გაიმართა



ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის პროცესი გაიმართა.

6 ივლისს პროცესზე მოწმე კახი ნემსაძე დაიკითხა, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გზაზე ავტომობილით გადაადგილდებოდა.

მან ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტი გაიხსენა და განმარტა, რომ გზაზე სატრანსპორტო საშუალებები ახლო ინტერვალით მოძრაობდნენ და მოძრაობის დროს რამე დაბრკოლება არ შეუნიშნავს, ვიდრე „ბე-ემ-ვე“-ს მარკის ავტომობილის მძღოლმა მარჯვნივ არ აიღო საჭე, რასაც მოჰყვა გზიდან გადასვლა.

ნემსაძემ ასევე განმარტა, რომ გზაზე შენიშნა ღია ფერის მანქანა, რომელმაც „ბე-ემ-ვე“-ს მარკის ავტომობილთან ახლოს ჩაიარა.

პროცესზე პროკურორმა მოწმის მიერ 2016 წელს მიცემული ჩვენება წაიკითხა, სადაც საუბარი არ არის ღია ფერის ავტომობილზე, რომელიც, მერაბ კვირიკაშვილის ადვოკატის ინფორმაციით, ფიგურირებდა ავტოსაგზაო შემთხვევაში და რომლის მანევრირებასაც მოჰყვა ავარია. მოწმის თქმით, იმ დროისთვის პოლიციელებს ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე სხვა ობიექტებზე არ უკითხავთ და თავად აფექტის მდგომარეობაში ამ ფაქტზე არ უსაუბრია.

ასევე, დაიკითხნენ გამომძიებლები ავთანდილ ნიქაბაძე და დავით მაჩიტიძე.

ავთანდილ ნიქაბაძის ინფორმაციით, მან კახი ნემსაძეს დაკითხვის დროს ყველა კითხვა დაუსვა, მათ შორის რომელიმე ავტომობილის მიერ ხომ არ მომხდარა მანევრირება, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო, თუმცა კითხვაზე, რატომ არ მოხვდა აღნიშნული ინფორმაცია ჩვენებაში, განმარტა, რომ უარყოფითი პასუხის გამო აღნიშნული ინფორმაცია არ დაუფიქსირებია.

მერაბ კვირიკაშვილის ადვოკატმა ნუგზარ კვინიკაძემ შენიშვნა გამოთქვა და განაცხადა, რომ გამომძიებლის მხრიდან თუ დაისვა მსგავსი კითხვა, მაშინ ასეთი კითხვა ჩვენებაში უნდა ეწეროს. კვინიკაძის ვარაუდით, მოწმისთვის მსგავსი შეკითხვა საერთოდ არ დასმულა.

პროცესს გარდაცვლილი გიორგი პაპასკირის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. მედიასთან კომენტარს მერაბ კვირიკაშვილი ისევ არ აკეთებს.

მომდევნო პროცესზე საქმის ექსპერტები დაიკითხებიან. პროცესი 16 ივლისს გაგრძელდება.

სუს-მა თეთრიწყაროს მერიის ზედამხედველობის სამსახურის ორი თანამშრომელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამსახურის წამყვანი სპეციალისტი და ორი კომპანიის დირექტორი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, დაკავებულებს სამსახურებრივი გულგრილობა ედებათ ბრალად.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გოჩა ლ. და სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ალექსი მ. ამავე სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ შპს „ფუძეს“ დირექტორი ილია ნ, მშენებელი ჯემალ მ. და ქვეკონტრაქტორი კომპანია შპს „იმედის“ დირექტორი იოსებ ტ.

გამოძიებამ დადგინა, რომ 2016 წელს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი დაბა მანგლისში, საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოებზე. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ფუძე“, რომელთანაც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა.

ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ფუძეს“ უნდა შეესრულებინა კანალიზაციის სისტემის მოწყობის 1 250 000 ლარის ღირებულების სამუშაოები. შპს „ფუძეს“ დირექტორმა ილია ნ-მ, მშენებელმა ჯემალ მ-მ და ქვეკონრაქტორი კომპანიის შპს „იმედის“ დირექტორმა იოსებ ტ-მ არასრულყოფილად შეასრულეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ წინასწარი შეთანხმებით, თანხების თაღლითურად მითვისების მიზნით, ფარული სამუშაოების აქტებში და ფორმა №2-ებში შეიტანეს ყალბი მონაცემები, რის საფუძველზეც თაღლითურად დაეუფლნენ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ თანხებს.

თავის მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გოჩა ლ-მ და ამავე სამსახურის სპეციალისტმა ალექსი მ-მ არაჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. საერთო ჯამში, სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 114 814,17 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტებზე (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 342-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო“, – ნათქვამია სუს-ის განცხადებაში.

სკანდალი რუსთავში — დედა, მისი ვაჟი და რძალი ნარკოტიკებით მოიწამლნენ

რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებმა სამმა მოქალაქემ ნარკოტიკებით ინტოქსიკაცია მიიღო. ისინი ერთი ოჯახის წევრები არიან.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, ნარკოტიკები დედამ, მისმა 18 წლის ვაჟმა და 22 წლის რძალმა ერთად მიიღეს, რის შემდეგაც ისინი ცუდად გახდნენ. ფაქტი „ინფო რუსთავს“ თავად იმ ქალმა დაუდასტურა, რომელმაც შვილთან და რძალთან ერთად ნარკოტიკები მიიღო. არსებული ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა მარიხუანასთან ერთად სხვა ნარკოტიკული საშუალებაც გასინჯეს, რის გამოც გონება დაკარგეს და ცუდად გახდნენ. ახალგაზრდა მამაკაცმა მოასწრო და 112-ში დარეკა, სადაც განაცხადა, რომ ჩ -თი მოიწამლნენ. შემთხვევის დროს ბინაში 2 წლის ბავშვიც იმყოფებოდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო და კრიმინალური პოლიცია. მისამართზე გამოძახებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟიც, ექიმებმა პაციენტებს ადგილზე გაუწიეს დახმარება. დაშავებულებმა კლინიკაში გადაყვანაზე უარი განაცხადეს.

„მძღოლი მთვრალი იყო“

დ.თ., რომელმაც თბილისში 3 ადამიანი იმსხვერპლა, დაკავებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროდან „ნიუპოსტს“ აცნობეს, რომ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში დამნაშავე მძღოლი დ.თ. გამოავლინეს და დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, ალკოტესტით შემოწმების შედეგად მას ალკოჰოლური თრობა დაუდგინდა. დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამჟამად, დ.თ. სხეულის სხვადასხვა დაზიანებით ჰოსპიტალში, სამართალდამცველების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში 2018 წლის 6 ივლისს შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანში, ავტოგასამართ სადგურ „ვისოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, 3 ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა.

შეტყობინების მიღებისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ.

გამოძიების პირველადი ინფორმაციით, ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი და მიკროავტობუსი შეეჯახა. შეჯახების შედეგად, სამი პირი ადგილზე გარდაიცვალა, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება კი სამმა ადამიანმა მიიღო. ისინი სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის თანამშრომლებმა სტაციონარში გადაიყვანეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მიკროავტობუსის მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების უხეშმა დარღვევამ გამოიწვია.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 და მე-8 ნაწილებით, მთვრალ მდგომარეობაში ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

გორში 17 წლის ბიჭი მოკლეს

გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში 17 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს. ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ის მოკლულია.

წინასწარი ინფორმაციით, ახალგაზრდას სასიკვდილო ჭრილობები ცივი იარაღით მიაყენეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

უწყებაში აცხადებენ, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

თავდაცვის მინისტრის მოადგილის სიმამრის მკვლელობაში ბრალდებულს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

ვარკეთილში თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გიორგი ბუთხუზის სიმამრის მკვლელობაში ბრალდებულ პირს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა განუსაზღვრა.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაშია ნათქვამი, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას ბრალად შერაცხული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეფასების შედეგად, მოწმეებზე ზემოქმედების, მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე გაითვალისწინა.

„არაპირდაპირი განზრახვით, განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებულს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა განუსაზღვრა.

წარდგენილი ბრალდების თანახმად, 2018 წლის 1 ივლისს, ქ. თბილისში, ვარკეთილში, რ. გ.-მ , საკუთარი საცხოვრებელი სახლის მისაღები ოთახის აივნიდან, იმავე უბანში მდებარე სხვა კორპუსის მიმართულებით, განახორციელა გასროლა, მისსავე კანონიერ მფლობელობაში არსებული 1985 წლის ნიმუშის 7,62 მმ კალიბრის „ნაგანის“ სისტემის რევოლვერიდან. გასროლის შედეგად, საცხოვრებელი სახლის აივანზე მდგომმა შ. მ.-მ მიიღო ცეცხლნასროლი ჭრილობა გულ-მკერდის არეში, გულისა და მარჯვენა ფილტვის დაზიანებით, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა. წარდგენილი ბრალდების მიხედვით, ბრალდებულ რ. გ.-ს გაცნობიერებული ჰქონდა მისი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა არ სურდა ეს შედეგი და გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას, მასვე ბრალად ედება საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა.

სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, ასევე ბრალად შერაცხული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების შეფასების შედეგად, მოწმეებზე ზემოქმედების, მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხეთა გათვალისწინებით, ბრალდებულს განუსაზღვრა პატიმრობა,“ – ნათქვამია განცხადებაში.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 23 აგვისტოს, 13:00 საათზე გაიმართება.

ნატოს სამიტის ფარგლებში საქართველო-რუსეთის კონფლიქტზე იმსჯელებენ

„ბლუმბერგი“: „მტრობა ალიანსის ლიდერებს შორის სახიფათო დროს მიმდინარეობს“

მარიამ მჭედლიშვილი

ნატოს სამიტის წინ საქართველოს სახასამთავრო ორგანიზაციების ნაწილი მიმართავს ნატოს, დააჩქაროს საქართველოს მიღება ამ ორგანიზაციაში. საქართველოს ხელისუფლების შეფასებით, მოახლოებული სამიტი გამოჩნეულია საქართველოსთვის.

საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის თქმით, ნატოს სამიტის ფარგლებში დაგეგმილი ოთხი უმაღლესი დონის შეხვედრიდან საქართველო ორში მიიღებს მონაწილეობას. ერთი შეხვედრა საქართველოსა და უკრაინის პრობლემებს მიეძღვნება. ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები შეხვდებიან საქართველოსა უკრაინის პრეზიდენტებს. შეხვედრის მონაწილეები საქართველოს თემატიკაზე, მათ შორის, საქართველო-რუსეთის კონფლიქტზეც იმსჯელებენ.

საქართველოს პრეზიდენტი ასევე ჩაერთვება უმაღლესი დონის შეხვედრაში ავღანეთის საკითხზე.

დასავლელი ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ნატოს ოქროს ხანა არ უდგას. მსოფლიოში დაძაბულობის გარდა, ალიანსისა და მისი ერთიანობისათვის დამაზიანებელია განხეთქილება ორგანიზაციის წევრი საკვანძო სახელმწიფოების მეთაურებს შორის.

ნატოს მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება აშშ-ის პრეზიდენტს არაერთხელ გამოუხატავს. იგი ხშირად საყვედურობს ევროპელ მოკავშირეებს თავდაცვის სფეროს არასაკმარისი დაფინანსების გამო.

„ბლუმბერგის“ შეფასებით, ნატოს სამიტის წინ თვალსაჩინოა დონალდ ტრამპის პირადი ანტიპათია როგორც მთლიანად ალიანსის, ისე მისი წევრებისადმი. კერძოდ, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოსა და კანადის ლიდერების მიმართ.

მტრობა ალიანსის ლიდერებს შორის სახიფათო დროს მიმდინარეობს. ეს ხდება მაშინ, როცა რუსეთი ახდენს ზეწოლას ნატოს პერიფერიებზე. პუტინი იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს შავი და ბალტიის ზღვების რეგიონების ქვეყნებში დესტაბილიზაციისათვის. ამავდროულად, რუსეთი აგრძელებს კიბეროპერაციებს მსოფლიოში დემოკრატიის წინააღმდეგ.

ანალიტიკური ცენტრი შიშობს, რომ ბრუსელში ტრამპი ისევ მიიტანს იერიშს ნატოზე, მოგვიანებით კი ჰელსინკიში თბილ და გულითად საუბარს გამართავს პუტინთან.

„ბლუმბერგის“ დასკვნით, დიდი კონტრასტი არსებობს აშშ-ის პრეზიდენტის დემოკრატიულ ლიდერებთან დაპირისპირებასა და ავტორიტარული პუტინით აღფრთოვანებას შორის.

ამას შეაქვს განხეთქილება ალიანსში.

ანალიტიკური ცენტრისთვის გაუგებარია, რატომ აქებს ტრამპი პუტინს იმ დროს, როცა კრემლი განაგრძობს ასადის მხარდაჭერასა და აგრესიას უკრაინაში, 2016 წელს კი მოსკოვი ერეოდა დემოკრატიულ პროცესებში ამერიკაში.

ამერიკელი ანალიტიკოსები და ევროპელი ლიდერები არ გამორიცხავენ, რომ ტრამპი პუტინთან შეხვედრის შემდეგ დათმობებზე წავა.

საუბარია ამერიკული ჯარის დიდი ნაწილის ევროპიდან გაყვანის, ევროპაში ამერიკული სარდლობის დაფინანსების შემცირების, ევროპაში წვრთნების შეწყვეტის შესაძლებლობაზე.

მათი თქმით, ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან შეხვედრის შემდეგ ტრამმა დროებით უარი თქვა სამხრეთ კორეასთან ერთობლივად დაგეგმილ სამხედრო წვრთნებზე, რითიც გააოგნა არა მარტო სეული, არამედ, საკუთარი სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრიც.

სომხეთი, შესაძლოა, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე საქართველოს კონკურენტი გახდეს

სომხეთი შესაძლოა სატელეკომუნიკაციო ბაზარზე საქართველოს კონკურენტი გახდეს. როგორ ბმ.გე-სთვის გახდა ცნობილი, მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები რათა სწორედ ამ ქვეყანაში განთავსდეს საბაზისო ჩართვის წერტილები და მათი საშუალებითა ინტერნეტი და სხვა საკომუნიკაციო სერვისები რეგიონის ქვეყნებს, სწორედ სომხეთიდან მიეწოდოს. ის რომ საქართველოს სამეზობლოში მსგავსი მოქმედებები შეინიშნება ადასტურებს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის ხელმძღვანელი უჩა სეთური. მისი თქმით, არის რისკი, რომ საქართველომ სატელეკომუნიკაციო დერეფნის ფუნქცია დაკარგოს.

– შეიძლება საუბარი იყოს იმაზე რომ ე.წ. პირველი დონის IP ტრანზიტორი ოპერატორები შემოვიდნენ არა საქართველოში, არამედ საქართველოს გვერდის ავლით ჩვენს მეზობელ ქვეყანაში,



რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველომ შესაძლოა გარკვეულწილად დაკარგოს დერეფნის ფუნქცია ცენტრალური აზიისა და ირანის მიმართულებით, – განუცხადა სეთურმა ბმ.გე-ს.

მეზობელ ქვეყანაზე, მისი დაკონკრეტების გარეშე, მინიშნება გააკეთა კომპანია „ნიუ ტელკო ჯორჯიას“ ხელმძღვანელმა გიორგი გოთოშიამაც. მისი კომპანია „ტელეკომ იტალიას“ ადგილობრივ პარტნიორად მოიაზრება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცდილობს შეთანხმება მიაღწიოს მაგისტრალური არხების მფლობელ ადგილობრივ ოპერატორებთან, გამოიყენოს მათი მაგისტრალური კაბელები იმისთვის, რომ ინტერნეტი საქართველოს საზღვრიდან თბილისამდე მიიტანოს.

როგორც გოთოშიამ განაცხადა, „ტელეკომ იტალია“ გეგმავდა თბილისში გაეკეთებინა მიერთების წერტილი, საიდანაც საკუთარ სერვისების გატანას შეძლებდა, როგორ ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

– თბილისის მაგივრად, ეს შესაძლებელია სხვაგან მოხდეს. იმის მაგივრად რომ ჩვენთან მოსულიყვნენ სერვისების საყიდლად, ჩვენ მოგვიწიოს სადმე მეზობლად ამისათვის წასვლა, მით უმეტეს რომ შეთავაზება „ტელეკომ იტალიას“ უკვე აქვს, – განაცხადა გოთოშიამ ბმ.გე-სთან საუბრისას. კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში ამბობენ, რომ სახელმწიფოს პრიორიტეტია, რომ ქვეყანა სატელეკომუნიკაციო ჰაბად იქცეს და ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს.

– საქართველოს მდებარეობიდან გამომდინარე დიდი შანსი აქვს იყოს არა მარტო ლოგისტიკური ცენტრი და სატრანზიტო ქვეყანა, არამედ ტექნოლოგიების ჰაბიც, ამისთვის მთავრობაც და კომუნიკაციების კომისიაც თავთავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველაფერს აკეთებენ და ჩვენ ამ მიმართულებით ვიმოძრავებთ სულ„, – განაცხადა ბექაურმა ბმ.გე-სთან საუბრისას.

ბმ.გე

ეკა გიგაური პრემიერს — მოგმართავთ თხოვნით, მთავრობის დაკომპლექტებამდე გაითვალისწინეთ იუსტიციის მინისტრის როლი სასამართლო სისტემის წარუმატებელი რეფორმების პროცესში

– მოგმართავთ თხოვნით, მთავრობის ახალი შემადგენლობის დაკომპლექტებამდე გაითვალისწინეთ იუსტიციის მინისტრის როლი სასამართლო სისტემის წარუმატებელი რეფორმების პროცესში, – ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს მიმართავს.

როგორც გიგაური მიმართვაში აღნიშნავს, მნიშვნელოვანია, იუსტიციის მინისტრის პოზიციაზე მთავრობამ ისეთი კანდიდატი წარადგინოს, რომელსაც სიღრმისეულად აქვს გააზრებული მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემები და ამასთანავე, აქვს მკაფიოდ გამოხატული ხედვა, რეფორმის შემდგომი მიმართულებების თაობაზე.

– იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს მთავრობის მომავალი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მართლმსაჯულების სისტემის არსებითი და სრულფასოვანი რეფორმირება იქნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ წლებია სწავლობს სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობას და შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართავს როგორც სასამართლო სისტემას, ისე აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას. ჩვენი ორგანიზაციის უკანასკნელი კვლევის, „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“, მიგნებებმა შემაშფოთებელი ტენდენციები გამოავლინა, რაც მთავრობის მხრიდან ძირეული რეფორმების გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს.

წლებია, იუსტიციის მინისტრის არათანმიმდევრული პოლიტიკა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. სასამართლო სისტემის რეფორმა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით და მინისტრ თეა წულუკიანის უშუალო ჩართულობით ექვსი წელი მიმდინარეობდა, კლანურობის პრინციპით შერჩეული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის პროცესში გადაიზარდა და ხელი შეუწყო კორუფციის რისკების ზრდას სისტემაში.

მოგმართავთ თხოვნით, მთავრობის ახალი შემადგენლობის დაკომპლექტებამდე გაითვალისწინოთ იუსტიციის მინისტრის როლი სასამართლო სისტემის წარუმატებელი რეფორმების პროცესში. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, იუსტიციის მინისტრის პოზიციაზე წარადგინოთ ისეთი კანდიდატი, რომელსაც სიღრმისეულად აქვს გააზრებული მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემები და ამასთანავე აქვს მკაფიოდ გამოხატული ხედვა, რეფორმის შემდგომი მიმართულებების თაობაზე, – ნათქვამია პრემიერისადმი ეკა გიგაურის მიმართვაში.

ზვიად კუპრავა: „ვილნიუსში საქართველოს სპეცსამსახურები მითვალთვალებდნენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ფორმაცია. მათგან მოვითხოვე ვილნიუსის აეროპორტიდან კადრების ამოღება.

მე როგორც მითხრეს, ევროპაში მცხოვრებმა ჩემმა მეგობრებმა დაიქირავეს ადვოკატები. მათ ნახეს კადრები, სადაც ორი პირის იდენტიფიცირება ხდება. ეს პირები ფარულად მიღებენ ვიდეოს და ფოტოებს. როგორც კი ეს ფირები თბილისში ჩამოვა, მოვახდენ ამ პირების იდენტიფიცირებას და მეტი არ მინდა, სუსის თანამშრომლები აღმოჩნდნენ.

ეს არის პირდაპირი ჯაშუშობა. საკუთარ ქვეყანაში უკანონო თვალთვალიც დასჯადი ქმედებაა, მაგრამ გაცილებით უარესია, როცა ეს უცხო ქვეყანაში ხდება. ამას უკვე ჯაშუშობა ჰქვია. ამის გამო ვილნიუსში ძალიან შეშფოთებულები არიან. მათთვის დისკომფორტია, როცა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენელი მათ ტერიტორიაზე ახორციელებს თვალთვალს.

ასე რომ, სოფო კილაძემ ქოცები არა მარტო საქართველოს მასშტაბით გახვია შარში, არამედ ქვეყანა გახვია საერთაშორისო სკანდალში.

– ისევ საგამოძიებო კომისიას დავუბრუნდეთ. დეპუტატებთან კითხვები თქვენც გქონდათ – გაინტერესებდათ, რა გაარკვიეს მეოცნებეებმა თქვენს ზონდერობაზე. პასუხმა დაგაკმაყოფილათ?

– ეს კითხვა ძირითადად სალომე ზურაბიშვილს და ანრი ოხანაშვილს ეხებოდა. ისინი აპელირებდნენ ყველაზე ხშირად ჩემს ზონდერობაზე. მათ ჩემს ზონდერობაზე პასუხი არ ჰქონდათ, ვერაფერი ვერ თქვეს.

ფალსიფიცირებულ ვიდეოს, რომელიც „იმედმა“ გაუშვა ეთერში და ამტკიცებდნენ, რომ ზონდერი ვიყავი, აუცილებლად მივიტან ექსპერტიზაზე. მერე ტელეკომპანიისგან მოვითხოვ ორიგინალი ვიდეოს გაშვებას და ბოდიშის მოხდას.

საზოგადოებას ისედაც არ სჯეროდა ჩემი ზონდერობის, მაგრამ მე ოფიციალური მტკიცებულება მჭირდება. ამ დასკვნას ცხვირპირში ავაფარებ [illegible]

სოზარ სუბარი — ჭუბერში სტიქიის შედეგად 21 სახლი დაზიანდა, მათგან 7-9 მძიმე მდგომარეობაშია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, სოზარ სუბარის ინფორმაციით, ჭუბერში სტიქიის შედეგად 21 სახლი დაზიანდა, მათგან 7-9 კი მძიმე მდგომარეობაშია.

სუბარი ამ წუთებშიც სტიქიის ადგილზე იმყოფება.

– მეორე მხარეს დაახლოებით 7 ოჯახია, რომელიც ასეთ მდგომარეობაშია. 2 სახლი მთლიანად წაღებულია. ერთი კუნძულზეა დარჩენილი. რამდენიმე სახლში პირველ სართულზე წყალი შევიდა. მთლიანობაში სტიქიის შედეგად 21 სახლი დაზიანდა და მათგან 7-9 მძიმე მდგომარეობაშია, – განაცხადა სუბარმა.

გამოხმაურება

თურქეთი და საქართველო ისევე, როგორც სხვა დარგებში, ჯანდაცვის სფეროშიც ძალიან წარმატებით თანამშრომლობენ. გასულ კვირას, საქართველოში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ბატონი ეიუფ გუმუში. ვიზიტის დროს, იგი შეხვდა თავის ქართველ კოლეგას, მინისტრის მოადგილეს ჯანდაცვის დარგში, ქალბატონ მაია ლაგვილავას.

შეხვედრაზე, მათ განიხილეს ორ ქვეყანას შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოვების შესაძლებლობები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. თურქეთშიც ცე ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გამოიყენება იგივე ტიპის მედიკამენტები.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ თურქეთის ჯანდაცვის სისტემის, თურქეთში სამკურნალოდ ჩასული ქართველი პაციენტების დიაგნოზისა და მკურნალობის, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხებზე დავეყრდნოთ მხოლოდ კომპეტენტური უწყებებისა და პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს და უგულვებელვყოთ, არასპეციალისტების მიერ გამოთქმული პირადი მოსაზრებები.

„ფლორანს ნაითინგეილ“-ის საავადმყოფოდან მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ როგორც გაირკვა, საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე გაკეთდა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული განცხადებები, ხოლო თავად განცხადების ავტორს არ გაჩნია უწყებრივი კავშირი მოცემულ კლინიკასთან. საავადმყოფო შეწუხებულია იმის გამო, რომ მათმა სახელმა გაიჟღერა ამგვარ კონტექსტში.

ხელისუფლებამ ვერ შეძლო ჭუბერში ხე-ტყის უკანონო ჭრის აღეკვეთა

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (ჩ №№) წარმომადგენელი რეზო გეთიაშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას ამბობს, რომ პირველადი შეფასებით, ჭუბერში განვითარებული სტიქიის ერთ-ერთ მიზეზად ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე მასობრივი ხე-ტყის ჭრა უნდა მივიჩნიოთ. გეთიაშვილი აცხადებს, რომ დაზუსტებული მიზეზისთვის მოკვლევაა საჭირო.

მისი განცხადებით, ისედაც ყველასთვის ცნობილია, რომ ჭუბერში ტყეების ჭრა მასშტაბური იყო. გარდა ამისა, ეს კარგად ჩანს, სტიქიის ზონიდან გავრცელებულ ვიდეოებში, სადაც ვხედავთ, რომ მდინარეს ათასობით კუბური მეტრი ხე-ტყე მოაქვს, რომელიც სულაც არ არის სტიქიის მიერ მოთხრილი ცოცხალი ბიომასა. ეს უფრო მოჭრილ ხე-ტყეს ჰგავს.

– შეიძლება ეს იყოს დასაწყობებული, ნაწილი შეიძლება იყოს მკვდარი ბიომასა, რომელიც ტყეში ხე-ტყის ჭრის შედეგად რჩება. ეს კადრებში კარგად ჩანს. ამასთან ერთად, გავრცელებულ ინფორმაციებში, ვიდეოებში ადგილობრივი მოსახლეობაც ხშირად ახსენებს სახერხებს, წაღებულ ათეულობით კუბურ მეტრ ხე-ტყეს, რომელსაც ფლობდა ერთი ოჯახი. ასე რომ, აქ ეს პრობლემა არის და ამის შესახებ იცის როგორც საზოგადოებამ, ისე ხელისუფლებამ, – აცხადებს გეთიაშვილი.

მისივე განმარტებით, ზოგადად, სტიქიას მაპროვოცირებელი ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს. ამიტომ, გეთიაშვილის ინფორმაციით, მხოლოდ ტყის ჭრა ერთადერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი არ არის. პრობლემა კომპლექსურია, მათ შორისაა, ბუნებრივი ფაქტორები. შედეგად, განსაკუთრებით იმ ზონაში, სადაც ასეთი ფაქტორები მძლავრია, ტყეების დაცვა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მომხდარიყო.

გეთიაშვილის განცხადებით, ჭუბერში მზადდება სამასალე ხე-ტყე, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობაა ჩართული.

– ხე-ტყე განსაკუთრებით ინტენსიურად იჩეხებოდა 2016 წლის ჩათვლით, როდესაც მასალის ტრანსპორტირებას წარმოშობის სერტიფიკატი არ სჭირდებოდა. უკვე მოგვიანებით ასეთი დოკუმენტის არსებობდა საჭირო გახდა, თუმცა, გამოინახა სხვა გზები და ხე-ტყის უკანონო ჩეხა კომერციული მიზნით ისევ აქტიურად გაგრძელდა.

კითხვაზე, მოსახლეობის მხრიდან ხე-ტყის ჩეხვის ხელშემწყობი იყო თუ არა როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლება? ამაზე გეთიაშვილს პასუხი არ აქვს. მისი თქმით, ეს მძიმე ბრალდებაა და ამას გამოძიება სჭირდება.

სახელმწიფო ალბათ ხელს არ უწყობდა, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ჭუბერში უკანონო ხე-ტყის ჭრის აღეკვეთა.

– როდესაც სახელმწიფომ ცადა, აღნიშნული პროცესისთვის ხელი შეეშალა, ამან ადგილობრივ მოსახლეობაში კონფლიქტი გამოიწვია. საზოგადოებას კარგად ახსოვს, როდესაც მოსახლეობამ ზედამხედველობის სამსახურს არ მისცა საშუალება სამსახურეობრივი ფუნქცია შეესრულებინა, – აღნიშნავს გეთიაშვილი.

მისი განცხადებით, სამასალე ხე-ტყის მასშტაბურ დამზადებასთან დაკავშირებით საქართველოში ცხელი წერტილები არის, თუმცა, ეს ქვეყნის ყველა ტერიტორიაზე არ ხდება. ამის მიზეზია ის, რომ ასეთი მასალა ქვეყანაში აღარ დარჩა.

– საბედნიეროდ, ჭუბერსა და ბორჯომში ჯერ კიდევ არის სამასალე ხე-ტყე და სწორედ აქ მიმდინარეობს უფრო ინტენსიურად ჭრა. საქართველოს სხვა რეგიონებში კი ძირითად პრობლემად, ხე-ტყის ჩეხა საშეშე დანიშნულებით რჩება.

– დრამატულია, რომ დაახლოებით 60-70 – პროცენტიანი ენერგოდეფიციტის გამო, მოსახლეობა იძულებულია მოჭრას ის ხე-ტყე, რომელიც იცავს მის სახლ-კარს, სოფელს. ხელისუფლება იძულებულია თვალი დახუჭოს ამაზე, რადგან ამ პროცესის აკრძალვა, როდესაც არ არსებობს სხვა ალტერნატიული ენერგეტიკული საშუალებები, ადამიანების სასიცოცხლო რესურსის გარეშე დატოვებას გამოიწვევს. საბოლოოდ კი, ეს სოფლები დაიცლება. ეს არის წლების განმავლობაში აღიარებული პრობლემა. იმის გამო, რომ ამას არ აქვს ერთიანი სისტემური გადაწყვეტილება და ამაში არ არის პირველ რიგში ეკონომიკის სამინისტრო ჩართული, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსკენ ხელს ვერ გავიშვერთ. ამ დროს შეშა უნდა მივიჩნიოთ, როგორც ენერგეტიკული, გათბობის საშუალება, – აცხადებს გეთიაშვილი.

მისივე განცხადებით, ქვეყანაში შეშაზე არსებული მოთხოვნა წელიწადში 2.4 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. მაშინ, როდესაც კანონიერად, სახელმწიფო, წლიურად, მხოლოდ 600.000 კუბურ მეტრი ხე-ტყის გამოყოფას უზრუნველყოფს.

ჭუბერში ტყის უსისტემოდ ჭრა დაასახელა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჭუბერში მომხდარი სტიქიის ერთ-ერთ მიზეზად.

– პირველადი შეფასებით, რა თქმა უნდა, სტიქია ჭარბმა ნალექმა გამოიწვია, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ტყის უსისტემო ჭრამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი და, ვინც ამით იყო დაკავებული, ამ ხალხსაც აუცილებლად მივხედავთ.

ტყის უსისტემო ჩეხა არ შეიძლება. ესაა ჩემი პასუხი. მაგრამ ეს კონკრეტული შემთხვევა, როგორც სპეციალისტები გვეუბნებიან და ამის ყველა ნიშანი არსებობს, გამოიწვია უხვი ნალექის მოსვლამ. ამისგან დაზღვეული არავინ არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენი პასუხი უნდა იყოს, რომ გვქონდეს გამართული სწრაფი რეაგირების და ადრეული შეტყობინების სისტემები, რომლებიც საქართველოში გვაქვს ორი და უნდა გაკეთდეს ყველგან, – განაცხადა ბახტაძემ.

რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად შეიძლება, მესტიაში ჰესის მშენებლობის საკითხი გადაიხედოს, პრემიერმა აღნიშნა: „დასკვნა როდესაც დაიდება, თუ რას უკავშირდება მომხდარი, ამისდა მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას“.

საქართველოდან 4.4 ათასი ტონა ატამია ექსპორტირებული

5 ივლისის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 4.4 ათასი ტონა ატამი, რაც 3.5 ათასი ტონით (5-ჯერ) აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ატმის ექსპორტი, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში (66.5%), სომხეთის რესპუბლიკაში (16.1%), აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (14.6%), ასევე უკრაინაში, ყაზახეთში, კატარსა და არაბთა გაერთიანებული საამიროებში ხორციელდება.

ატმის მოსავლის აღების, ჩაბარებისა და რეალიზაციის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ქალაქ გურჯაანში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ოფისში ფუნქციონირებს საორგანიზაციო შტაბი.

კომერსანტი

აუქციონზე უმეტესად კერძო მევახშეებთან იპოთეკაში ჩადებული უძრავი ქონება იყიდება

2017 წელს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აუქციონზე იპოთეკით დატვირთული 1.695 უძრავი ქონება გაყიდა, საიდანაც, 1.258 საცხოვრებელი ფართი იყო. ამის შესახებ ინფორმაციას „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“(IDFI) ავრცელებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გაყიდული იპოთეკით დატვირთული ქონების კრედიტორებს ყველაზე ხშირად ფიზიკური პირები და კომერციული ბანკები წარმოადგენენ.

კერძოდ, 649 შემთხვევაში აუქციონზე ფიზიკურ პირებთან იპოთეკით დატვირთული ქონება გაიყიდა; 625 შემთხვევაში – ბანკების მიერ გაიყიდა ქონება; 292 შემთხვევაში – მიკროსაფინანსო ორგანიზაციების; 129 შემთხვევაში კი – სხვა იურიდიული პირების მიერ.

ბპნ

2017 წელს აუქციონზე 1,258 იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი გაიყიდა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზების 2017 წლის მაჩვენებლებს აქვეყნებს. როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, წინა წელს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ აუქციონზე იპოთეკით დატვირთული 1.695 უძრავი ქონება გაყიდა, საიდანაც, 1.258 საცხოვრებელი ფართი იყო.

ამასთან, რაც შეეხება უძრავ ქონების სხვა ტიპებს, 1.695-დან 211 არასაცხოვრებელი ფართი, 198 – მიწის ნაკვეთი და 28 – ნაგებობა და სხვა ქონება იყო.

ბპნ

ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში სოციალურად დაუცველებს შემწეობის მიღება აღარ შეუწყდებათ

„სოციალური დახმარების შესახებ“ დადგენილებაში ცვლილება შედის. ამის შესახებ მთავრობის 29 ივნისის დადგენილებაშია აღნიშნული. კერძოდ, დადგენილების თანახმად, დემოგრაფიული ცვლილების – ოჯახის წევრ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის განმეორებითი შეფასების პერიოდში, საარსებო შემწეობის გაცემა აღარ შეჩერდება.

აღსანიშნავია, რომ ეს დადგენილება 2018 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე გავრცელდება.

– 2018 წლის 1 ივნისის შემდეგ ოჯახში განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილების – ოჯახის წევრ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების შემდეგ სპეციალური ფორმის დოკუმენტის – ოჯახის დეკლარაციის მონაცემთა ბაზაში განთავსებამდე ოჯახს გადაუანგარიშდება დანიშნული საარსებო შემწეობა, ოჯახის გარდაცვლილი წევრ(ებ)ის კუთვნილი თანხის გამოკლებით. თუ გადამოწმების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ღატაკ ოჯახს საარსებო შემწეობის გაცემა გაუგრძელდება გადამოწმების შედეგად ოჯახის წევრთა რაოდენობიდან და მინიჭებული სარეიტინგო ქულის ოდენობიდან გამომდინარე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მინიჭებული სარეიტინგო ქულა აღემატება ამ წესით დადგენილ ზღვრულ ოდენობას, ოჯახის წევრ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების შემდეგ სპეციალური ფორმის დოკუმენტის – ოჯახის დეკლარაციის მონაცემთა ბაზაში განთავსებამდე გაცემული საარსებო შემწეობა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, – აღნიშნულია დადგენილებაში.

ბპნ

ლევან დავითაშვილი — 2-3 წელიწადში საქართველო სწრაფი გაფრთხილების სადგურებით მთლიანად დაიფარება

2-3 წელიწადში საქართველო სწრაფი გაფრთხილების სადგურებით მთლიანად დაიფარება.

ამის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ჟურნალისტებს ჭუბერში, სტიქიის ზონაში განუცხადა. როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, ადრეული გაფრთხილების სისტემების მონტაჟი წელსაც იგეგმება.

რაც შეეხება ჭუბერში მიმდინარე პროცესებს, როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, ამის გამომწვევი მიზეზია მყინვარის დნობა, რამაც მდინარეში წყლის დონის მატება გამოიწვია.

– ტემპერატურის მატებასთან ერთად მყინვარის დნობის პროცესი მიმდინარეობს და მდინარის კალაპოტშიც იმატებს წყლის დონე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტი ჩართული იყოს ასეთ საგანგებო დროს, რაც ხდება კიდეც. იცით, რომ მობილიზებულია სამაშველო ბრიგადები, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალისტები, როგორც ჰიდრომეტეოროლოგები, ასევე გეოლოგები არიან ადგილზე, რომ პროცესები შეისწავლონ, ასევე, პროგნოზირების ნაწილში დაეხმარონ კოლეგებს იმისთვის, რომ მაღალ დონეზე კოორდინაციის შედეგად, მინიმალური იყოს ბუნების ზემოქმედება.

რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის უსაფრთხოება, ამისთვის ყველაფერი კეთდება. მათი გადაყვანა უსაფრთხო ადგილებზე ხდება. ისეთ ადგილებზე, რომელსაც პოტენციურად შეიძლება საფრთხე დაემუქროს, გამაგრებითი სამუშაოები მიმდინარეობს. თუმცა, ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მას შემდეგ დაიწყება, რაც მდინარეში წყალი დაიკლებს“, – განაცხადა დავითაშვილმა და დასძინა, რომ საქართველოს ლანდშაფტური კუთხით რთული პირობები აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია, ისეთ მდინარეებზე, როგორიც ნენსკრაა გამართული ადრეული გაფრთხილების სისტემა გვქონდეს.

– გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასეთი სისტემის ჩამოყალიბებას წელს იწყებს და 2-3-წლიან პერსპექტივაში საქართველო მთლიანად იქნება სწრაფი გაფრთხილების სადგურებით დაფარული, რაც ბევრ ინფორმაციას მოგვცემს და პრევენციისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება, – აღნიშნა მინისტრმა.

რაც შეეხება „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობის კავშირს მიმდინარე პროცესთან, დავითაშვილი ამბობს, რომ მშენებლობა გაგრძელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარემოსდაცვითი ყველა მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება.

– ცალსახად დაადასტურეს სპეციალისტებმა, რომ „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობა ჭუბერში მიმდინარე პროცესებთან კავშირში არ არის, თუმცა, „ნენსკრა ჰესი“ იქნება, სხვა ჰესი თუ ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობა, ეს უნდა იყოს მკაცრად, გარემოს დაცვითი პრინციპებით აშენებული. ამ ეტაპზე მშენებლობა არ მიმდინარეობს, ხდება შესწავლა და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მშენებლობის ნებართვა გაცემული, თუ გარემოსდაცვითი ყველა მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება, ეს ეხება პირველ რიგში ნენსკრას, თუმცა, მხოლოდ მას არა, – განაცხადა დავითაშვილმა.

კომერსანტი

სამების მგალობელთა გუნდს საიუბილეო კონცერტის ჩატარებაზე უარი უთხრეს





ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი

2018, 7 — 8 ივლისი, №159

ტერეზა მეი: „რუსეთს პასუხს მოვთხოვთ!“

სკრიპალების საქმე კვლავ აქტუალურია. ეიმსბერიში აღმოაჩინეს ნოვიჩოკით მოწამლული ორი ადამიანი.

მამა-შვილი სკრიპალები ცხოვრობდნენ სოლსბერიში, რომელიც ეიმსბერიდან სულ 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. უიტშერის პოლიციის უფროსმა პრიტჩარდმა განაცხადა, რომ ექსპერტიზის დასკვნით ორი ინგლისელი იმავე გაზითაა მოწამლული, როგორითაც მამა-შვილი სკრიპალები მოწამლეს. საუბარია ნერვო-პარალიტიკურ გაზ ნოვიჩოკზე, რომელსაც რუსეთში ამზადებენ.

– რუსეთს პასუხს მოვთხოვთ! – ამბობს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯავიდმა ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ ეიმსბერიში მკვლელობის მცდელობას ადგილი არ ჰქონია. ეს იმ გაზის ნარჩენებია, რომელიც სოლსბერიში სკრიპალების მოწამვლისას გამოიყენეს.

– რუსეთის მთავრობას უნდა მოვთხოვოთ, აგვიხსნას, თუ რა მოიმოქმედეს სოლსბერიში. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება, თავიდან ავიცილოთ ნოვიჩოკის შემდგომი გავრცელება, – თქვა ჯავიდმა.

ბრიტანეთის შს მინისტრის პირველმა მოადგილე ბენ უოლესმა განაცხადა, რომ ელის ზარს მოსკოვიდან. რუსებმა უნდა აუხსნან, თუ როგორ დაიცვან თავი ნოვიჩოკისაგან.

– ბატონ პუტინს სიტუაციის გადარჩენა ჯერ კიდევ შეუძლია, – ამბობს უოლესი.

რუსეთის ოფიციალური პირები დუმან. სერგეი მარკოვი და სხვა პოლიტოლოგები კი აცხადებენ, რომ ის, რაც ეიმსბერიში მოხდა, ბრიტანეთის სპეცსამსახურების პროვოკაციაა, რათა ტრამპსა და პუტინს შორის გარიგება ჩაშალონ.

– დასავლეთში საკმაოდ არიან „ქორები“, რომელთაც რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების მოგვარება არ სურთ. ახალი პროვოკაციაც მათი ნახელავია, – თქვა მარკოვმა.

ტრამპი და პუტინი შეიარაღებაზე კონტროლის პრობლემებს განიხილავენ

16 ივლისს ჰელსინკიში ტრამპი და პუტინი ერთმანეთს შეხვდებიან. მოლაპარაკებების ცენტრალური საკითხი შეიარაღებაზე კონტროლი იქნება.

ექსპერტების აზრით, მოლაპარაკებაზე ნაკლები ყურადღება დაეთმობა როგორც დონბასის, ასევე ყირიმის პრობლემებს. რუსეთი ამ საკითხებზე კომპრომისისთვის მზად არ არის. მიუხედავად ამისა, ტრამპი ამ პრობლემების წამოჭრას მაინც აპირებს.

აშშ-ის ელჩმა რუსეთში ჰანტსმანმა განაცხადა, რომ ტრამპი და პუტინი ჯერ პირისპირ ისაუბრებენ. ამის შემდეგ შეხვედრა უკვე გაფართოებული შემადგენლობით გაგრძელდება. მას როგორც პუტინის, ასევე ტრამპის მრჩევლები დაესწრებიან.

– აშშ-ის პრეზიდენტმა შემხვედრი ნაბიჯი გადადგა. ახლა სიტყვა პუტინზეა, – თქვა ჰანტსმანმა.

„დოიჩე ველეს“ ცნობით, რეალურია რუსეთ-აშშ-ის შეთანხმება სირიასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსკოვი და ვაშინგტონი ერთად უზრუნველყოფენ იმას, რომ ირანული ფორმირებები სირიას დატოვებენ. უკრაინაზე შეთანხმება, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება.

თავად ტრამპი კი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ჟურნალისტებთან საუბარში მან სულელები უწოდა ყველას, ვისაც რუსეთთან ურთიერთობების დალაგება არ სურს.

– ამ ხალხს ვერაფრით გაუგია, რომ რუსეთთან ან ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობების მოწესრიგება ძალიან კარგია, – თქვა ტრამპმა.

თეთრ სახლს ახალი დირექტორი ჰყავს

თეთრ სახლს ახალი დირექტორი ჰყავს. ტრამპის ბრძანებით ამ პოსტზე ბილ შეინი დაინიშნა. მანამდე მას მედიაკომპანია ფოქს ნიუსში მაღალი პოსტი ეკავა.

– შეინი გამოცდილი კაცი და მაღალი რანგის პროფესიონალია, – ასე დაახასიათა ახალი ხელმძღვანელი ტრამპმა.

რუსეთის სასამართლომ რადიო „თავისუფლება“ დააჯარიმა

რუსეთის სასამართლომ რადიო „თავისუფლებას“ ფულადი ჯარიმა დააკისრა. მიზეზი რადიოსადგურის „უცხოეთის აგენტად“ გამოცხადებაა.

თანახმად რუსული კანონმდებლობისა, უცხოეთის აგენტად ცხადდება ყველა ორგანიზაცია, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან, თუ მათ გარკვეული პროცედურები არ გაიარეს. აქამდე ეს შეზღუდვა ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციებზე ვრცელდებოდა, ახლა კი რადიო „თავისუფლებასაც“ შეეხო.

აღსანიშნავია, რომ ეს ვერდიქტი სასამართლომ პუტინ-ტრამპის შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე გამოიტანა.

უახლოეს ხანებში რუსული თემიდა აპირებს, უცხოეთის აგენტის კანონი რადიო „თავისუფლების“ თანამშრომლებზეც გაავრცელოს. ამან, შესაძლოა, რადიოსადგურის თანამშრომლების დევნა განაპირობოს.

პოროშენკომ ევროკავშირს მადლობა გადაუხადა

ევროკავშირმა რუსეთს გაუგრძელა სანქციები, რომლებიც ენერგეტიკისა და თავდაცვის სფეროებს შეეხება. უკრაინის პრეზიდენტმა ევროპას მადლობა გადაუხადა.

– მსურს, ჩვენს ევროპელ კოლეგებს მადლობა გადავუხადო. სანქციების გაგრძელება მართლაც ვაჟკაცური გადაწყვეტილებაა, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ევროპამ რუსული აგრესიისგან თავდასაცავად კონკრეტული სტრატეგია და ტაქტიკა უნდა შეიმუშაოს.

– მზად ვართ, ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ამაში დავეხმაროთ, – ამბობს პოროშენკო.

მერკელი ორბანის წინააღმდეგ

ანგელა მერკელმა უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანის პოლიტიკას არაადამიანური უწოდა. მიზეზი ორბანის მიგრანტებისადმი დამოკიდებულებაა.

– ჩვენ ადამიანების წინააღმდეგ ახალი ციხე-სიმაგრეები კი არ უნდა ავაშენოთ, არამედ კანონიერ მიგრაციას ხელი შევუწყოთ. ამ საკითხზე აფრიკის ქვეყნებთან ალბათ სპეციალური შეთანხმებაც უნდა დავდოთ, – თქვა მერკელმა.

გერმანიის კანცლერმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირი ჰუმანისტურ პრინციპებს ემყარება და ამით ძირეულად განსხვავდება ევრაზიული კავშირისგან.

– რუსეთის პრეზიდენტი ევრაზიული კავშირისკენ ქვეყნებს ძალით მიერეკება, ევროკავშირში შესვლა კი ყველას უნდა. რატომ? იმიტომ, რომ ევროკავშირი ჰუმანურ და დემოკრატიულ პრინციპებზეა შექმნილი, – თქვა მერკელმა.

აუმ სინრიკიოს დამაარსებელი სიკვდილით დასაჯეს

იაპონიაში სიკვდილით დასაჯეს აგრესიულ სექტა აუმ სინრიკიოს დამაარსებელი სიოკო ასახარა (ნამდვილი გვარი მაცუმოტო). ის ჩამოახრჩვეს.

აუმ სინრიკიო ტოტალიტარულ და აგრესიულ სექტას წარმოადგენდა. ის ძალადობის არავითარ ფორმას არ თაკილობდა. მისმა წევრებმა ტოკიოს მეტროში მომწამლავი გაზი გაუშვეს. შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა.

ამან განაპირობა ასახარას მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკო-ბიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დინამომ დილა გაანადგურა და მეორე ადგილზე გამაგრდა

დინამო-დილა 5:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 კიტეიშვილი (15), 2:0 თოთაძე (22), 3:0 ზივზივაძე (26), 4:0 კიტეიშვილი (40), 5:0 ზივზივაძე (59)

დინამო: ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, ლოჩოშვილი, კობოური, ნინუა (ქარდავა 77), ივანისენია, ივანიშვილი, ო. კიტეიშვილი (ზარია 81), ერგემლიძე (ვაწაძე 72), ზივზივაძე

დილა: ბეგაშვილი, მაჩაიძე, რაზმაძე, ქავთარაძე, ნონიკაშვილი, კორიფაძე, კვახაძე, კოვტალიუკი (კერელეიშვილი 74), ლამპტი (ნონდი 46), რიბეირუ (რაჟამაშვილი 46), სუხიაშვილი

გაძევება: სუხიაშვილი (54)

მეორე წრის ბოლო ტურის ცენტრალურ მატჩში თბილისის დინამომ გორის დილას უმასპინძლა, 3:0 დაამარცხა და საზაფხულო შესვენებას მყარი მე-2 ადგილით შეხვდა.

პირველივე წუთებზე დინამოელებმა სახიფათოდ შეუტიეს და გუჯა რუხაიას აქტიური თამაშის შემდეგ საჯარიმოში მიხეილ ერგემლიძე ამწვავებდა სიტუაციას, თუმცა ბოლო მომენტში მცველებმა განმუხტეს სახიფათო მომენტი.

მე-15 წუთზე დინამომ გახსნა ანგარიში: ოთარ კიტეიშვილმა ჩვეულ სტილში აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს და ტექნიკური დარტყმით გაიტანა გოლი. ორიოდე წუთში კარგი მომენტი ბუდუ ზივზივაძესაც შეექმნა, თუმცა ბოლო მომენტში მეტოქის მეკარემ დაასწრო ბურთზე.

22-ე წუთზე კი, შეტევისას, დმიტრო ივანისენია წააქციეს, საჯარიმო დარტყმა, რა თქმა უნდა, ლაშა თოთაძემ არავის დაუთმო და შესანიშნავი დარტყმით ანგარიში 2:0 გახადა. დედაქალაქელებმა შესანიშნავი შეტევით ოთხიოდე წუთში ანგარიში სამამდე გაზარდეს. კიტეიშვილის დარტყმის შემდეგ გიორგი ბეგაშვილმა ბურთი ცუდად მოიგერია და ზივზივაძემ გაიტანა. თავად კიტეიშვილმა კი მე-40 წუთზე ულამაზესი გოლით ანგარიში 4:0 გახადა და ტაიმი ასეც დამთავრდა.

მეორე ნახევრის დებიუტში კი ოთარ კიტეიშვილი ჰეთ თრიქისთვის გაიქცა, იგი ანზორ სუხიაშვილმა აკრძალული ილეთით შეაჩერა და წითელი ბარათიც დაიმსახურა. 59-ე წუთზე დინამოს კაპიტანმა მაინც გაიწია კარისკენ, რამდენიმე მცველს გასცდა, კარში დარტყმაც შეეძლო, მაგრამ უკეთეს პოზიციაში მყოფი ზივზივაძე დილას მეკარეს პირისპირ შეატოვა და ბუდუმაც დუბლი გაიფორმა.

მომდევნო შეტევაში თავისი შანსი დმიტრო ივანისენიამ ვერ გამოიყენა, რომელმაც თავით ითამაშა არაზუსტად. 72-ე წუთზე მოედანზე დინამოს ფორმით 8 წლიანი პაუზის შემდეგ მათე ვაწაძე გამოჩნდა. მოედანზე ასევე გამოვიდა გიორგი ზარია, რომელიც 8-თვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა გუნდს. მან ბრწყინვალედ მოთამაშე გუნდის კაპიტანი კიტეიშვილი შეცვალა, რომელიც სტადიონზე მყოფმა მაყურებელმა ოვაციებით გააცილა. თუმცა, ანგარიში აღარ შეცვლილა და შეხვედრა დედაქალაქელთა გამარჯვებით, 5:0 დასრულდა.

ჩიხურა-სიონი 4:0

ივანწმინდა. ცენტრალური

1:0, 2:0, 3:0 ლექვთაძე (4, 24, 64) 4:0 ბუღრიძე (73)

ჩიხურა: მწყერაშვილი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, მირცხულავა, მეგრელიშვილი, ბუღრიძე (გუგა 86), დობროვოლსკი, იკვაიძე, ლექვთაძე (ბუხაიძე 82), მარკოზაშვილი (ჩიხლაძე 60), გაბედავა

სიონი: ზარქუა, მინდორაშვილი (მანაგაძე 46), გურეშიძე, ნოზაძე (კოშკაძე 69), გიორბელიძე, ქიქავა, ხმალაძე, გაფრინდაშვილი, სიხარულია (უგულავა 60), მიქაბერიძე, ბერიაშვილი

საჩხერის ჩიხურამ გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი, ბოლნისის სიონი მიიღო და ძალიან დამაჯერებლად, 4:0 დაამარცხა. მატჩი საჩხერელთა შემტევის, ირაკლი ლექვთაძის ბენეფისად იქცა, რომელმაც შეხვედრაში ჰეთ-თრიქი შეასრულა. ეს მომდინარე ეროვნულ ლიგაში მესამე ჰეთ-თრიქია.

მატჩი კი სოსო ფრუიძის გუნდის სრული უპირატესობით წარიმართა და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ევროსარბიელის წინ, ჩიხურას ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება მოეპოვებინა. შეხვედრაში ანგარიში საწყის წუთებშივე გაიხსნა. გიორგი გაბედავას დარტყმის შემდეგ, ბოლნისელმა მცველებმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანეს, მაგრამ დამატებაზე ყველას ირაკლი ლექვთაძემ დაასწრო და ჩიხურას შემტევს ანგარიშის გახსნა აღარ გასჭირვებია. დღევანდელ შეხვედრაში მან კიდევ ორჯერ შეძლო სტუმართა კარის აღება, რასაც ირაკლი ბუღრიძემ ერთი გოლიც მიაყოლა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა, 4:0 ჩიხურას სასარგებლოდ.

ლოკომოტივი-რუსთავი 1:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 სიჭინავა (45) 1:1 გავაშელიშვილი (68)

ლოკომოტივი: შეროზია, გაბაძე, ჭანტურია, ქურდაძე, უბილავა, ძებნიაური (ცნობილაძე 87), გვალია, გავაშელიშვილი, კიკაბიძე (კომახიძე 67), კობახიძე, ჯიქია (ყენია 61)

რუსთავი: სეფიაშვილი, კირკიტაძე, პაპავა, კილასონია, ფონიავა, თარხნიშვილი, გუჯაბიძე, სილაგაძე (ჩოგაძე 62), სიჭინავა (კვირკვია 70), კვარაცხელია, მარცვალაძე (ქავთარაძე 78)

პირველ ნახევარში სათამაშო უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, თუმცა ლოკომოტივმა ორი საგოლე მომენტი შექმნა. გატანა დავით ჯიქიასა და მამია გავაშელიშვილს შეეძლოთ. ლოკოს ფორვარდებს ორივე შემთხვევაში კოკა სეფიაშვილმა აჯობა.

45-ე წუთზე რუსთავმა ანგარიში გახსნა. საჯარიმოს ხაზიდან დათა სიჭინავამ გაიტანა.

მეორე ნახევარმა ლოკოს უპირატესობით წარიმართა. შორეული დარტყმით გატანა ლაშა გვალიამ ცადა, თუმცა სეფიაშვილმა აჯობა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

68-ე წუთზე, გიორგი გაბაძის ჩაწოდების შემდეგ, მამია გავაშელიშვილმა საჯარიმოში ზუსტად ითამაშა და ანგარიში გაათანაბრა.

გოლის შემდეგ მამიას დუბლის შესრულება შეეძლო. ლოკოს ფორვარდი მეკარესთან პირისპირ ლევან ყენიამ ერთი შეხებით დატოვა, თუმცა გავაშელიშვილმა არაზუსტად დაარტყა და რეალური მომენტი ვერ გამოიყენა.

უპირატესობის მიუხედავად, ლაშა ჭაღიაშვილის გუნდმა მეტი გოლი ვერ გაიტანა და შეხვედრა ფრედ, 1:1 დამთავრდა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	18	14	1	3	35-14	43
2.დინამო	18	12	2	4	38-17	38
3.დილა	18	9	7	2	36-24	34
4.ჩიხურა	18	9	4	5	28-16	31
5.ტორპედო	18	8	3	7	26-18	27
6.რუსთავი	18	5	6	7	18-23	21
7.ლოკომოტივი	18	5	4	9	20-30	19
8.სიონი	18	3	4	11	15-33	13
9.სამტრედია	18	1	6	11	11-28	9
10.კოლხეთი	18	3	5	10	19-43	8

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

მარეკ ჰლინკა: „ტორპედოსთვის თავს არ დავზოგავ“

ქუთაისის ტორპედო ევროთასებისთვის ემზადება, კახაბერ ჩხეტიანის გუნდმა გაძლიერება სლოვაკი ფეხბურთელით, მარეკ ჰლინკათი დაიწყო, შემდეგ გუნდში მოვიდნენ სხვა ლეგიონერებიც – არფანგ დაფე (სენეგალი), ოლექსანდრ აზაცკი (უკრაინა) და ლაზარ მარინი (ბულგარეთი).

სულ ახლახან კი გუნდს 3 ქართველი – მამუკა კობახიძე, მათე ცინცაძე და ლევან გეგეჭკორი შეუერთდნენ.

ევროთასების წინ მარეკ ჰლინკა საუბრობს, რომელმაც სადებიუტო მატჩში ფოთის კოლხეთის წინააღმდეგ ტორპედოს მაისურით პირველი გოლი გაიტანა.

– ახალ გუნდში პირველივე მატჩში გოლი გაიტანე! ყოფილა ასეთი რამ შენს კარიერაში?

– კი, იყო, მაგრამ ეს არის ჩემი პირველი გოლი საქართველოს ჩემპიონატში და ძალიან მიხარია, რომ სადებიუტო მატჩში გავიტანე და გუნდს 3 ქულის მოპოვებაში დავეხმარე.

– როგორ დაგხვდა კლუბი, ახლოს გაიცანი ფეხბურთელები?

– თანაგუნდელები გავიცანი, კარგად მიმიღეს. გუნდში მეგობრული გარემოა და ამანაც იმოქმედა იმაზე, რომ პირველი მატჩი ასეთი გამომივიდა...

– ქალაქი როგორ მოგეწონა?

– სამწუხაროდ, არც ისე დიდი ხანია, რაც ქუთაისში ჩამოვედი და დათვალიერების დრო არ მქონია. როგორც კი თავისუფალი დრო მექნება, დიდი სურვილი მაქვს, რომ გავიდე ქალაქში.

– თეთრი ხიდიც უნდა ნახო!

– კი, უკვე მითხრეს, რომ აუცილებლად სანახავია!

– მილან ბაროშთან ერთად გითამაშია. რას იტყვი მასზე და რა ისწავლე მისგან?

– ბაროში ჩეხური ფეხბურთის ლეგენდაა! ძალიან გამოცდილია, ჩემპიონთა ლიგაც კი აქვს მოგებული ლივერპულთან ერთად... ინგლისში მიღებულ გამოცდილებას ახალგაზრდა თანაგუნდელებს გვიზიარებდა, ძალიან კარგი პიროვნებაა.

– საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, ვლადიმირ ვაისი, შენი თანამემამულეა... მისი სლოვაკეთის ნაკრებში ყოფნის დროს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდი. ხომ არ გქონია შეხება მასთან?

– ვლადიმირს კარგად ვიცნობ და დადებითის მეტს მასზე ვერაფერს ვიტყვი. მასთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ ვესაუბრე რომან შვანტნერს, რომელიც ნაკრებში ვაისის დამხმარეა. მან ტორპედო კარგად დაახასიათა და მითხრა, რომ მოხარულია ჩემი საქართველოში გადმოსვლით.

– ქალაქში ტორპედო ძალიან უყვართ და 10-ში, დიდი ალბათობით, სტადიონი გაივსება. რამდენად გეხმარება ხოლმე კარგი ატმოსფერო მინდორზე?

– სავსე სტადიონი ფეხბურთელს ყოველთვის დიდ მოტივაციას აძლევს. გამონაკლისი არც მე ვარ. იმედი მაქვს, მართლაც გაივსება სტადიონი, რადგან შერიფთან რთული მატჩი გველის და მხარდაჭერა აუცილებლად დაგვჭირდება.

– ჩემპიონთა ლიგაზე მოლდოვის ჩემპიონს ხვდებით. როგორია განწყობა?

– აქტიურად ვემზადებით მატჩისთვის და დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ბარიერს გადავლახავთ.

– გულშემატკივრებს ლეგიონერების ყოველთვის განსაკუთრებით ეიმედებათ. რას ეტყოდი მათ ევროთასების წინ?

– ერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ კლუბისთვის თავს არ დავზოგავ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ქუთაისის ტორპედო როგორც საქართველოში, ისე ევროტურნირებზე წარმატებული იყოს.

16 წლამდე ნაკრები ნახევარფინალში წაგებით გავიდა

საქართველოს 16 წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონის ნახევარფინალში გავიდა. ნინო ყიფშიძისა და შოთა იაქაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის ბოლო, მე-3 ტურის მატჩი მალტასთან 19 ქულით – 38:57 წააგო, თუმცა მეორე ადგილზე გასვლა მაინც მოახერხა და პლეი ოფში შოტლანდიას შეხვდება.

ქართველებს გამოადგათ პირველ ტურში მონაკოს 37 ქულით განადგურება, რის შემდეგაც ავსტრიასთან და მალტასთან წააგეს და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ 3-მა გუნდმა – საქართველოს, მალტამ და მონაკომ – თითო მოგება დააგროვეს. ამ 3 ნაკრებს შორის ურთიერთშეხვედრებში საუკეთესო საქართველო აღმოჩნდა, რომელმაც ჯგუფში პირველზე გასული ავსტრიის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა და ნახევარფინალში გავიდა.

ჯვარედინი დაწყვილების შედეგად საქართველო ნახევარფინალში ბ ჯგუფის გამარჯვებულ შოტლანდიას შეუწყვილდა, ავსტრია კი მასპინძელ მოლდოვას შეხვდება. მალტასთან მატჩში, რომელიც ქართველებმა ჩააგდეს, 10 ქულით და 10 მოხსნით საუკეთესო იყო ნინო გადელია, ბომბარდირი კი 12 ქულით ნინო ბესაშვილი გახდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

იგუაინი ადგილს რონალდუს დაუთმობს

გონსალო იგუაინსა და კრიშტიანუ რონალდუს მადრიდის რეალში ერთად 2013 წლამდე უთამაშიათ. დიდი შანსი იყო, ისინი ერთმანეთის მხარდამხარ ტურინის იუვენტუსშიც გვეხილა, სადაც რონალდუს გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია და ხვალ, საკვირაოდ, შეთანხმება მოხდება.

თუმცა, არგენტინულ-პორტუგალიურ წყვილს ერთად თამაში არ მოუწევს – იგუაინი იუვენტუსს უახლოეს მომავალში დატოვებს და კარიერას ჩელსიში გააგრძელებს.

იგუაინის შეძენას პირადად ითხოვდა ჩელსის მომავალი მთავარი მწვრთნელი მაურიციო სარი. როგორც ბრიტანული მედიის წერს, ლონდონურმა და ტურინულმა კლუბებმა უკვე შეათანხმეს 30 წლის არგენტინელის ტრანსფერი. ჩელსი გონსალოში 60 მილიონ ევროს გადაიხდის.

ყველაფერი იმისკენ მიდის, რომ ტურინელები პორტუგალიელს რეალისგან 100 მილიონ ევროდ აუცილებლად გამოისყიდიან, თავად ფეხბურთელს კი კონტრაქტს 2022 წლის ზაფხულამდე გაუფორმებენ და წელიწადში 30 მილიონ ევროს გადაუხდიან.

იგუაინი იუვენტუსის ღირსებას ორი სეზონის განმავლობაში იცავდა, ყველა ტურნირის 105 მატჩში კი კლუბის მაისურით 55 გოლი გაიტანა.

33 წლის კრიშტიანო რონალდუ მადრიდის რეალში მანჩესტერ იუნაიტედიდან 2009 წელს 96 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა.

ქართული კლუბების ხათრიანი ტრანსფერები

ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ტობოლთან მატჩის წინ რამდენიმე დღით ადრე, სამტრედია შემადგენლობას აძლიერებს.

იმერულ გუნდში ქუთაისის ტორპედოს, რუსთავისა და გორის დილას 2-2 ფეხბურთელი ითამაშებს. ქუთაისიდან ცენტრალური მცველი, გიორგი გურული და ნახევარმცველი, ჯაბა ლიპარტია დაემატებათ, რუსთავიდან – თამაზ მაქაცარია და ავთო ენდელაძე, ხოლო დილადან – ჯემალ გოგიაშვილი და გიორგი ფანცულაია.

ვერ გეტყვით, რამდენად ჰქვია ამ ტრანსფერს გუნდის გაძლიერება. ეს ტრანსფერები უფრო ხათრით გაკეთებულს ჰგავს, ვიდრე გუნდის გაძლიერებაზე ფიქრს. შესაძლოა, ეროვნული ჩემპიონატის დონეზე ბოლოსწინა ადგილს თავი დააღწიონ და გავარდნის საფრთხე არ შეიქმნან, მაგრამ ევროპა ლიგისთვის რომ ყველანაირად იგივე შანსი დარჩებათ იმერლებს, ფაქტია.

მათე ვაწაძით თავდასხმის გაძლიერების შემდეგ თბილისის დინამომ მეკარის პოზიციის გაძლიერებაზეც იზრუნა. დედაქალაქური კლუბის რიგებში სტეფან სიკაჩი ჩაირიცხა.

ეს მოთამაშე ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს ეროვნული ლიგის გასული სეზონიდან უნდა ახსოვდეს – 29 წლის მოლდოველი მეკარე ფოთის კოლხეთში ასპარეზობდა და ძალიან კარგადაც.

ამ ტრანსფერებით ვერც დინამო დაიკვეხნის და სერიოზულ წარმატებაზე პრეტენზიას ვერ განაცხადებს.

მცირედი მატებაა საჩხერის ჩიხურას შემადგენლობაში – ზემო იმერლებს ქუთაისის ტორპედოდან მიხეილ სარდალიშვილი დაუბრუნდათ.

მოკლედ, ქართულ კლუბებს ევროპალიგაზე ძალიან გაუჭირდებათ.

ჭიდაობა – ქართველთა 20 მედალი

თბილისში დასრულდა ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის გრან პრი, რომელშიც ჩვენმა მოჭიდავეებმა 20 მედალი მოიპოვეს.

პირველ დღეს ბერძნულ რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი ხუჭუამ (72) ფინალში ფრანგთა სახელით მოასპარეზე სომეხი ერიკ ნიკოგოსიანი 10:2 დაამარცხა, ლაშა გობაძემ (82) კი სომხეთის სახელით მოჭიდავე ედუარდ სარგსიანთან შური იძია ნახევარფინალში დათუნაშვილის მარცხისთვის.

ლაშა მარიამიძე (63), ვინც მართლაც კარგი ჭიდაობით გამოიჩინა თავი, ფინალში ვერაფერს გახდა რუსთა ევროპული თამაშების გამარჯვებულსა და მსოფლიოს პრიზიორ სტეფან მარინიანთან – 0:9. იმავე ანგარიშით წააგო რევაზ ნადარეიშვილმაც (97) და ისევ რუსეთის წარმომადგენელთან, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ მუსა ევლოევთან.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა უდანაკარგოდ ჩაატარეს ფინალური პაექრობები და გადამწყვეტ პაექრობაში სამივე მათგანმა იმარჯვა: ბექა ლომთაძემ



(61) წმინდად და დამაჯერებლად, ძალიან იოლად 10:0 მოუგო უზბეკ აბოს რახმონოვს, გენო პეტრიაშვილმაც (125) ასევე იოლად დაჯაბნა უკრაინელი ოლექსანდრ ხოციავინსკი – 5:2, ყველაზე მეტად კი ზურაბ იაკობიშვილმა (70) ივაჟკაცა, რადგან ფინალში ყველაზე ტიტულოვანი მეტოქე ჰყავდა – რუსთა სახელით მოჭიდავე ოლიმპიური ჩემპიონი, ცხინვალიდან წასული სოსლან რამონოვი, ვისაც დაძაბულ პაექრობაში ბოლო წამებზე გამოგლიჯა გამარჯვება ხელიდან და 3:2 მოუგო.

ბოლო დღეს მათ 6 მედალი მოიპოვეს – სამივე სინჯის 2-2 ჯილდო. თავისუფალთაგან ჩემპიონი ელიზბარ ოდიკაძე (97) გახდა, ვინც ფინალში გივი მაჭარაშვილს 8:6 მოუგო. მეორე ვერცხლი საბა ჩიხრაძის (86) ანგარიშზეა.

ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონის ტიტულს ქუთაისელი ზვიად პატარიძე (130) დაეუფლა, ოღონდ ფინალში ოლიც არ გამოსვლია, რადგან რუსი მეტოქე, ახალგაზრდული ნაკრებიდან კარგად ნაცნობი ოლიმპიური მედალოსანი სერგეი სემენოვი საჭიდაოდ არ გამოუცხადდა.

როგორც უკვე გითხარით, კარტოზია-ბალავაძის ტურნირი ჩვენმა დელეგაციამ 20 მედლით დაასრულა: 7 ოქრო, 4 ვერცხლი და 9 ბრინჯაო. აქედან ბერძენ-რომაელთა წილი 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 7 ბრინჯაო, ხოლო თავისუფალთა მონაგარი კი 4 ოქრო, 2-2 ვერცხლ-ბრინჯაოა.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა თავისუფალთა ნაკრებმა 102 ქულით გაიმარჯვა, ბერძენ-რომაელები კი 144-ით მეორეზე გავიდნენ და მხოლოდ გოგი კოღუაშვილისა და ლევან კეზევაძის დამოძღვრილ რუსებს ჩამორჩნენ (154 ქულა).

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

საფრანგეთი ნახევარფინალშია

ურუგვაი-საფრანგეთი 0:2

ნიჟნი ნოვგოროდი. ნიჟნი ნოვგოროდ არენა

0:1 ვარანი (40), 0:2 გრიზმანი (61)

ურუგვაი: მუსლერა, კასერესი, ხიმენესი, გოდინი, ლაქსალტი, ბენტაკური (როდრიგესი 59), ვეჩინო, ტორეირა, ნანდესი (ურეტა 73), კუარესი, სტუანი (გომესი 59)

საფრანგეთი: ლორისი, პავარი, ვარანი, უმტიტი, ლუკასი, კანტე, პოგბა, ტოლისო (ნზონზი 80), გრიზმანი (ფეკირი 90), მბაპე (დემბელე 88), ჟირუ

ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო თამაში, რადგან კარგად იცოდნენ, რომ შეცდომა დამღუპველი იქნებოდა. საფრანგეთის შემტევი ნაკრებიც კი ერიდებოდა უკანმოუხედავ შეტევებს და აქცენტი ბურთის კონტროლზე ჰქონდა გადატანილი, რათა მეტოქის კარგ დაცვაში ნაპრალები ეპოვა. გასაკვირად, ურუგვაი უფრო მწვავედ იჩხვლიტებოდა, კარშიც რამდენჯერმე დაარტყა, მაგრამ ლორისი შეუვალი იყო. ფრანგებმა კი პირველივე დარტყმა გოლად აქციეს – გრიზმანის ჩაწოდებულ სტანდარტს ვარანის გოლი მოჰყვა.

ურუგვაის მალევე შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ლორისმა საოცარი სეივი შემოგვთავაზა, როდესაც კასერესის თავით დარტყმული ბურთი მოიგერია.

შესვენების შემდეგ ურუგვაი ისევ ეცადა გათანაბრებას, მაგრამ ფრანგთა დაცვა მწყობრად თამაშობდა. ოსკარ ტაბარესმა ორმაგ შეცვლას მიმართა, რათა შეტევა გაეძლიერებინა და სწორედ ამ დროს დაღუპა გუნდი მუსლერამ, რომელმაც გრიზმანის დარტყმული მარტივი ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და კარში აღმოჩნდა – 0:2.

ამის შემდეგ, საქმის ბოლომდე მიყვანა, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო და ფრანგებს ეს არ გასჭირვებიათ. მეტიც, ბოლოს, თავად ურუგვაი შეეგუა წაგებას.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანტუან გრიზმანი

ყველგან იყო ფრანგთა ნახევარმცველი, ყველა შეტევას იწყებდა, ბურთსაც ჩინებულად ანაწილებდა. ვარანის გოლზე ასისტენტობა გაწია, შემდეგ კი თავადაც გაიტანა. მართალია, მუსლერას დახმარებით, მაგრამ ეს მის წვლილს სულაც არ აკნინებს.

ლორის კარიუსი ლივერპულში დარჩება

გერმანელი მეკარე ლორის კარიუსი მომავალ სეზონშიც ლივერპულში ითამაშებს და იურგენ კლოპი მას ნდობას უცხადებს.

შეგახსენებთ, რომ კარიუსმა რეალთან ფინალში უხეში შეცდომები დაუშვა და ამის გამო ბევრი ფიქრობდა, რომ ის კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. იურგენ კლოპის აზრით, კარიუსი მაღალი დონის გოლკიპერია და ფინალში დაშვებული შეცდომები უბრალოდ შემთხვევითობაა.აღსანიშნავია, რომ ლივერპულის ბევრი გულშემატკივარი ასე არ ფიქრობს და ისინი კარიუსის გაყიდვას ითხოვდნენ.

მესი: „მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოვარდნა ძალიან განვიცადე“

არგენტინის ნაკრების და ბარსელონას ლიდერმა ლიონელ მესიმ თავის ნაკრებზე ისაუბრა და თქვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოვარდნა მისთვის ძალიან მტკივნეული იყო.

მესის თქმით, მას მთელი ღამე არ ეძინა:

– ბოლომდე მჯეროდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეგვეძლო, მაგრამ სამწუხაროდ, დავმარცხდით. ეს წაგება ჩემთვის მტკივნეული იყო და მთელი ღამე არ მეძინა, თუმცა ფეხბურთში ყოველთვის გამარჯვებული ვერ იქნები და ამას შეგუებული ვარ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 ივლისისთვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში კოლექტიური მუშაობა უნაყოფო იქნება. საღამოს პროფესიულ სფეროში წარმატება გელით. **კურო** – ნუ გარისკავთ. შინაურებთან ურთიერთობისას მეტი გულისხმიერება და თავაზიანობა გმართებთ. **ტყუპები** – სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს მოიპოვებთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დღეს არ მიიღოთ. **კირჩხიბი** – სიხარული და იმედგაცრუება ერთმანეთს ენაცვლება. მთლიანობაში, ურიგო დღე არ არის. **ლომი** – ახალ ნაცნობებს გულს ნუ გადაუშლით. კოლექტიურ საქმიანობას ერიდეთ. **ქალწული** – ამბიციურობა და აგრესიულობა ხელს არ მოგცემთ. სამსახურში ყურადღებით იმუშავეთ. **სასწორი** – ენერგია გემატებათ. ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ. შესაძლოა დაგაწინაურონ. **ღრიანკალი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. პროვოკაციები ყოველი მხრიდან არის მოსალოდნელი. იფრთხილეთ ქუჩაში მოძრაობის დროს. **მშვილდოსანი** – დღეს მხოლოდ ჩვეული საქმით დაკავდით. დილეტანტიზმი და არაპროფესიონალიზმი არ გამოგადგებათ. **თხის რქა** – უფროსობასთან ურთიერთობა სასიკეთო იქნება. შრომა დაგიფასდებათ. **მერწყული** – სამსახურში იაქტიურეთ. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. განაახლეთ გარდერობი. **თევზები** – წარმატებას მიაღწევთ მრავალ სფეროში. მთავარია, სრულყოთ ცოდნა და პროფესიონალიზმი.

8 ივლისისთვის

ვერძი – მოტყუების ალბათობა დიდია. მიამიტობა და მიმნდობლობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ. **კურო** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეთ. მიენდეთ ინტუიციას. **ტყუპები** – ნეგატიური დღეა. საოჯახო საქმეები დიდ ენერგიას წაგართმევთ. **კირჩხიბი** – თავქარიანობა საქმეს გაგიფუჭებთ. დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას დიდი პასუხისმგებლობა გმართებთ. **ლომი** – კოლეგებთან ურთიერთობას გაუგებრობა დაგიძაბავთ. ნუ აჩქარდებით, ემოციები მოთოკეთ. **ქალწული** – საქმის გარჩევებს, ჩხუბსა და აყალმაყალს ერიდეთ. განსაკუთრებული ტაქტი და სიფრთხილეა საჭირო ბავშვებთან ურთიერთობისას. **სასწორი** – საკმაოდ იღბლიანი დღეა. დაწყებულ საქმეს სწრაფად დაამთავრებთ და შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – რთული დღეა. წინააღმდეგობებს აწყდებით თითქმის ყველგან. ამის მიუხედავად, მიზანს მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებას მიხედეთ. საღამოს დრო გამონახეთ დასვენებისა და განტვირთვისათვის. **თხის რქა** – შექმნილი ვითარება კომპრომისზე წასვლას გაიძულებთ. ნუ იჩხუბებთ. **მერწყული** – ოჯახის წევრებთან იყავით დამამომები. ნუ ეცდებით საკუთარი პრინციპების დაცვას. **თევზები** – თუ გარს თანამოაზრეებს შემოიკრებთ, საქმე გაგიადვილდებათ და შედეგიც სასიკეთო იქნება. რომანტიკული დღეა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. უხასიათობა, ცუდი გუნებაგანწყობილება; 2. ხარისხიანობის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის, პლატონის ნაკეთობებზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. უბანი თბილისში; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. ოპტიკური მინა; 12. კატეგორიული მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 14. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 15. ფუტკრის მსგავსი, მოყვითალო ფერის მწერი; 17. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 20. ზღვის ფრინველი.

თარაზულად: 5. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 6. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 8. ქალაქ ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური, ძირგამომთხრელი მოქმედება რაიმე საქმეში; 11. პოემა „გველისმჭამელის“ პერსონაჟი; 13. ქართული კონიაკი; 16. მონასტერი რაჭაში; 18. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 19. ერთდროული გასროლა რამდენიმე ქვემეხიდან; 21. სასტუმროს თანამშრომელი; 22. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხერგიანი; 2. ბურგი; 3. ყაპუზუნა; 4. ჟიგული; 7. ბროლი; 9. კიურე; 12. კრიტერიუმი; 14. პურადი; 15. თავთუხი; 17. მადრიდი; 20. გუელი.

თარაზულად: 5. რედიკული; 6. ორაგული; 8. ვაგნერი; 10. კელასური; 11. ბრეცია; 13. სტაიერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ზვარე; 21. ტუნდრა; 22. ახმეტელი; 23. ვანდომი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სერვანტესი; 2. კომუნა; 3. ფალანგა; 4. კრონა; 5. კონკლავი; 6. ვალსი; 7. ჰარიერი; 9. მთიელი; 13. პერტი; 17. რემა; 18. ფხა.

თარაზულად: 1. საიგაკი; 3. ფრანკი; 8. სონატა; 10. მუსკატი; 11. კანიო; 12. ბაზალტი; 14. სტილბი; 15. ჩხავერი; 16. ვერფი; 19. ტატამი; 20. დივიზია; 21. მატანი.

ალიგატორის მიერ შეშინებულმა გოგონამ თავი ხეს შეაფარა

ამერიკელი გოგონა იძულებული გახდა, თავი ხისთვის შეეფარებინა, რათა ალიგატორს გადარჩენოდა.

15 წლის ჯორდან ბროდერიკი მშობლებთან ერთად ოკალას ნაკრძალში ისვენებდა. ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ის ტივით სეირნობდა. გოგონამ მისკენ წამოსული ალიგატორი შენიშნა, წყლის თავზე დახრილ ტოტზე ჩამოეკიდა და შემდეგ ზედ აცოცება მოახერხა. მტაცებელი ხის ქვეშ მოკალათდა და დაუწყო ლოდინი, თუ როდის ჩამოვიდოდა გოგონა ძირს.

ჯორდანის მშობლებმა ყველაფერი დაინახეს, თუმცა ვერაფრით დაეხმარნენ. საბოლოოდ გოგონას დედამ სამაშველო სამსახურთან დაკავშირება მოახერხა.

— ჩემი ქალიშვილი ხეზეა ამძვრალი, გარშემო ალიგატორები არიან და მის გამოყვანას ვერ ვახერხებთ, — აცნობა მან ტელეფონით სამაშველო სამსახურს.

ნახევარ საათში შემთხვევის ადგილზე ნახევრად ავტომატური შაშხანით შეიარაღებული შერიფის თანაშემწე მივიდა და რეპტილია ერთი გასროლით მოკლა. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა გოგონამ ხიდან ჩამოსვლა.

უგზო-უკვლოდ გამქრალი ინდონეზიელი წელიწად-ნახევრის შემდეგ გამოჩნდა

ინდონეზიაში იპოვეს ქალი, რომელიც ზღვაში წელიწადნახევრის წინ დაიკარგა. ის ცოცხალი აღმოჩნდა და იმავე ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, რომლითაც ის ბოლოს ნახეს.

2017 წლის დასაწყისში 52 წლის ნინინგ სუნარსიხი კუნძულ იავაზე, ქალაქ სუკაბუმის მახლობლად ისვენებდა. თვითმხილველები ამტკიცებდნენ, რომ პლაჟიდან ზღვაში ის გიგანტურმა ტალღამ გაიტაცა. ქალი ყვიროდა და ხალხს საშველად უხმობდა, მაგრამ წყალში შესვლა ვერავინ გაბედა. მაშველები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ მის პოვნას. ერთი კვირის შემდეგ სუკაბუმის რაიონში უცნობი ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს, მაგრამ ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ის დაკარგული ქალი არ იყო. კიდევ რამდენიმე კვირის უშედეგო ძებნის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამაშველო სამუშაოები შეწყვიტა და დაკარგული ქალი დაღუპულად გამოაცხადა.

ქალის ოჯახმა მისი დაღუპვის ფაქტის აღიარებაზე უარი თქვა. ივნისის ბოლოს ქალის ბიძას, მისივე თქმით, დაესიზმრა, რომ სუნარსიხი ახლობლებს პლაჟზე იმ ადგილის მახლობლად ელოდებოდა, სადაც დაიკარგა. როდესაც სიზმარი რამდენჯერმე განმეორდა, მან ამის შესახებ ოჯახის წევრებს უამბო და ისინი პლაჟზე წავიდნენ, მაგრამ მათი ძებნა უშედეგო აღმოჩნდა. თუმცა მეორე დილით ნათესავები ქალის დაკარგვის ადგილზე დაბრუნდნენ და იქ უგონო მდგომარეობაში მყოფი სუნარსიხი აღმოაჩინეს. ოჯახმა ქალი საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმებმა მისი სავალალო მდგომარეობაში ყოფნა დაადასტურეს, თუმცა იქვე განაცხადეს, რომ ქალი მალე გამოჯანმრთელდება.

სუკაბუმის სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელმა აულია სოლიხანტომ ერთ-ერთ საინფორმაციო პორტალს ამ ისტორიის ნამდვილობა დაუდასტურა. ამ დროისთვის მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა ყველაფერი ალბათ მას შემდეგ გაირკვევა, როდესაც ქალი ლაპარაკს შეძლებს.

არგენტინელი კოსმიურ ელფს დაემსგავსა



პლასტიკური ოპერაციების მოყვარულმა არგენტინელმა ათეულობით ათასი დოლარი დახარჯა იმისთვის, რომ კოსმიურ ელფს დამსგავსებოდა, თუმცა შედეგით უკმაყოფილო დარჩა.

— მე განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე კოსმიურ ელფად გარდასახვას, — აცხადებს 25 წლის ლუის პადრონი, — ისინი სიყვარულისა და სინათლის მეომრები არიან, რომლებიც დედამიწას ბოროტი ჩამოსულებისგან იცავენ. მათ ძალიან გაცრეცილი კანი, დიდი თვალები, სახის თხელი ნაკვთები და გრძელი თეთრი თმა აქვთ.

მისი თქმით, მან თავიდან თვალის ფერის შეცვლა გადაწყვიტა.

— რამდენიმე წლის წინ გავიგე, რომ თვალის ფერის ლაზერით შეცვლა შეიძლებოდა, — განაცხადა მან, — ეს ექსპერიმენტული პროცედურაა, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე, გამეკეთებინა. მინდოდა, ალისფერი თვალები მქონოდა, როგორც ელფებს აქვთ, სინამდვილეში კი ისინი მუქი-ნაცრისფერი გახდა. ეს სრულიად არ მომწონს.

პრობლემის მოსაგვარებლად არგენტინელმა 500 სხვადასხვა ფერის კონტაქტური ლინზა შეიძინა. მისი თქმით, შავი ფერის ლინზებს იმისთვის იკეთებს, რომ დემონს დაემსგავსოს, ხოლო თეთრს — ანგელოზს დასამსგავსებლად.

თვალების შემდეგ პადრონი ცხვირზე გადაერთო.

— ექიმთან შეხვედრის დროს მე მას ვუთხარი, რომ ისეთი ცხვირი მსურდა, რომელიც ადამიანურს საერთოდ არ ემგვანებოდა, პატარა, წვეტიანი ცხვირი, — განაცხადა არგენტინელმა.

ამ იდეამ ექიმის აღფრთოვანება ვერ გამოიწვია, მაგრამ არგენტინელმა უკან არ დაიხია. ამის შემდეგ კი მან ნიკაპის ლიპოსაქცია გაიკეთა.

ფრანგებმა ბაღში ოქრო იპოვეს, მაგრამ მის გარეშე დარჩნენ

ფრანგ წყვილს, რომელმაც საკუთარ ბაღში 28 ოქროს ზოდი იპოვა, განძის დათმობა მოუწევს.

წყვილმა 2002 წელს საფრანგეთის ლუარას დეპარტამენტის ქალაქ როანში შეიძინა სახლი ბაღით. 2009 წელს მათ ბაღში ექვსი ცალი ოქროს ზოდი იპოვეს. ოთხი წლის შემდეგ მათ კიდევ 22 ზოდი მიემატა. განძის საერთო ღირებულებამ 800 ათასი ევრო შეადგინა.

წყვილმა განძის პოვნის თაობაზე პოლიციას, ქალაქის მერის ოფისსა და საფრანგეთის ბანკს აცნობა. ამის მიუხედავად, როანის პროკურატურამ „ატიპურ ფინანსურ ოპერაციებს“ მიაქცია ყურადღება, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ და გამოძიება დაიწყო. როგორც გაირკვა, დაეჭვება გამოიწვია 28 ოქროს ზოდიდან 23-ის გაყიდვამ. რამდენიმე წლის შემდეგ განძის შესახებ შეიტყო სახლის ყოფილი პატრონის ოჯახმა. სახლის ყოფილი პატრონი იმ დროისთვის გარდაცვლილი იყო. მისმა ქვრივმა და რვა შვილმა სასამართლოში განცხადება შეიტანეს და განძის მათთვის გადაცემა მოითხოვეს. მათ წარმოადგინეს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ოქრო მათ ეკუთვნოდათ.

2015 წელს სასამართლომ მათ მხარი დაუჭირა და მათთვის მთელი გადარჩენილი ოქროს დაბრუნების განაჩენი გამოიტანა, ასევე თანხის, რომელიც წყვილმა 15 ოქროს ზოდის გაყიდვიდან მიიღო. სახლის ახალი მფლობელები ამასთან შეგუებას არ აპირებდნენ.

წყვილი უშედეგოდ ცდილობდა სასამართლო გადაწყვეტილების სხვა ინსტანციებში გასაჩივრებას. 2017 წელს მისი სამართლიანობა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, ხოლო მიმდინარე წლის ივნისში სარჩელი საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ განიხილა და თავდაპირველი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

მტრედები ბრიტანელებს საშხაპეში უთვალთვალებენ

ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის უონდსვორტის რაიონში მდებარე ოთხსართულიანი სახლის მცხოვრებლები მტრედებს უჩივიან, რომლებსაც დიდი ხანია, მათი სახლი ალყაში აქვთ მოქცეული.

მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ მტრედები მუდმივად იჭრებიან მათ სახლში, მიუხედავად იმისა, რომ სადარბაზოში გამოკრული აქვთ განცხადება მობინადრეებისთვის, რომ ფანჯრები არ გააღონ. ამის გამო ყველაზე დიდი სიცხის დროსაც კი ისინი იძულებულნი ხდებიან, ფანჯრები ჩაკეტილი ჰქონდეთ.

— ეს ფრთოსანი მახინჯი მითვალთვალებდა, როდესაც საშხაპეში ვიყავი. დარწმუნებული ვარ, მას ტუჩები რომ ჰქონოდა, გაილოკავდა, — ხუმრობით განაცხადა მტრედისგან დაზარალებულმა. როდესაც მან ფანჯარაზე პირსახოცის აფარება ცადა, მტრედმა გააფთრებით დაუწყო ფანჯარას ჩანისკარტება.

სახლის კიდევ ერთმა ბინადარმა მტრედების შემოტევას „ძალაუფლებისთვის ბრძოლა“ უწოდა და აღნიშნული ვითარება ალფრედ ჰიჩკოკის ფილმ „ჩიტებს“ შეადარა.

ვირთხამ მეტროს ვაგონში პანიკა გამოიწვია

ტაიბეიში ვირთხამ მეტროს ვაგონში შეაღწია და ამით იქ არეულობა და ჭყლეტა გამოიწვია. ამის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

მღრღნელი იმ დროს შენიშნეს, როდესაც მატარებელი სადგურიდან გავიდა და მისი გაჩერება და ვაგონის დატოვება უკვე შეუძლებელი იყო. შეშინებული მგზავრები სხვა ვაგონისკენ ყვირილით გაიქცნენ. მათ ისინიც მიემატნენ, რომლებსაც ვირთხა არ შეუნიშნავთ. ამ დროს ვილაცამ ხმა გაავრცელა, რომ ვიღაც მგზავრებს დანით თავს ესხმოდა, როგორც ეს 2014 წელს მოხდა.

ხალხით სავსე ვაგონებში ჭყლეტა დაიწყო. ხალხი გარბოდა, უცვიოდათ ნივთები, ეცემოდნენ იატაკზე. როდესაც მატარებელი შემდეგ სადგურზე გაჩერდა, მგზავრები ვაგონებიდან თავქუდმოგლეჯილი გამორბოდნენ და ბაქანზე მდგომები გადათელეს. დაცარიელებულ ვაგონებში გადაღებულ ფოტოსურათებსა და ვიდეოებზე ჩანს ძირს დაყრილი ხელჩანთები, მობილური ტელეფონები და ფეხსაცმელები. ასევე ჩანს ლაქები, რომლებიც სისხლს ჰგავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩინელმა ქირურგმა ცხრა ოპერაცია გააკეთა

ჩინეთში ქირურგმა მთელი დღე ტკივილგამაყუჩებლების დახმარებით იმუშავა, საღამოს კი გამოარკვია, რომ ბრმა ნაწლავი აწუხებდა.

ექიმმა ლიან ფუციუნმა, რომელიც ანხოის პროვინციის ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობს, დილით ადრე მუცელში ძლიერი ტკივილისგან გაიღვიძა. გარკვეული დროის შემდეგ ტკივილმა გაუარა, მაგრამ მამაკაცმა მისი განყოფილების უფროსს ექიმ შის მაინც სთხოვა, რომ ოპერაციებს დასწრებოდა, რათა საჭიროების შემთხვევაში დაეზღვია.

მესამე ოპერაციის დროს, რომელსაც ფუციუნი იმ დღეს აკეთებდა, ტკივილი მუცლის არეში განუახლდა, თუმცა მან გადაწყვიტა, პროცედურა არ შეეჩერებინა და ტკივილგამაყუჩებელი გაიკეთა. რაღაც მომენტში ტკივილისგან შეწუხებული ქირურგი იძულებული გახდა, ჩამომჯდარიყო, რის შემდეგაც კიდევ ერთი ტკივილგამაყუჩებელი გაიკეთა. იმ დღეს მან სულ ცხრა ოპერაცია გააკეთა.

ბოლო ოპერაციის შემდეგ ექიმმა შიმ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფუციუნის ხალათი ოფლისგან მთლიანად დასველებული იყო. მან კოლეგა ულტრაბგერით გამოკვლევაზე გააგზავნა, რომელმაც აჩვენა, რომ მას ბრმა ნაწლავის მწვავე ანთება ჰქონდა, რომელიც დაუყოვნებლივ ქირურგიულ ჩარევას საჭიროებდა. საბოლოოდ ფუციუნს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა და ის ახლა თავს კარგად გრძნობს.

კროსვორდი 8

შვეულად: 1. მცენარეული წარმოშობის მყარი საწვავი ნივთიერება; 2. ფრანგი პოსტ-იმპრესიონისტი მხატვარი; 3. პატიმრის მკაცრად დასჯისთვის განკუთვნილი ცალკე საკანი; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 6. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 7. იტალიური ტკბილი სადესერტო ღვინო; 9. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 13. იაპონელი მოდელიორი; 17. პროვინციის მმართველი თურქეთში; 18. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი.

თარაზულად: 1. ექიმის სპეციალობა; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 8. მექსიკური არაყი; 10. წერილობითი კოლექტიური მიმართვა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი; 11. მწყობრი, რიტმული ნაბიჯით სვლა; 12. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 14. მწვავე სისხლნაკლებობა; 15. ქართული კონიაკი; 16. ქიმიური ელემენტი, რბილი, მოვერცხლისფერო ლითონი; 19. აქლემის ნაშიერი; 20. ქართველი პრიმა-ბალერინა; 21. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.4474

ევრო — 2.8485

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2328

100 რუსული რუბლი — 3.8684

ამინდის პროგნოზი 7 ივლისისთვის

სპილო ჩხუბის დროს პატრონს დაეხმარა

ტაილანდში სპილომ ხუმრობით მოჩხუბარი თავისი პატრონი და მისი მეგობარი გააშველა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლზე, რომელიც ქალაქ ჩიანგმაიშია გადაღებული, 17 წლის სპილოს, სახელად ტონგსრის პატრონმა მეგობარს სთხოვა, რომ მასზე თავდასხმის იმიტაცია გაეკეთებინა. მეგობარმა ცემის იმიტირება გააკეთა და შემდეგ გაიქცა. ცხოველმა ამაზე დაუყოვნებლივ რეაგირება მოახდინა და პატრონისკენ გაიქცა. ცხოველი პატრონს გარშემო უვლიდა, თითქოსდა მას შესაძლო თავდასხმისგან იცავდა და მუხლებზე დაეშვა, რათა შეემოწმებინა, პატრონი ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა თუ არა.

სპილოები დიდი ინტელექტით გამოირჩევიან და პატრონის ერთგულნი ხდებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა საერთო აქვთ ტუროპერატორებსა და გინეკოლოგებს?

– ორივე მუშაობს იქ, სადაც სხვები ისვენებენ!

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, შეგიძლია მითხრა, როდის განიცდი ორგაზმს?

– საყვარელო, მაგის გამო სამსახურში ხომ არ დაგირეკავ!

•••

ანატომიის გაკვეთილზე მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– აბა მიპასუხე, რომელია ადამიანის ყველაზე დიდი ორგანო?

– უკანალი. იქ მთელი ქვეყანა ეტევა.

•••

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– მომწონხართ და თქვენთან ღამის გატარება მინდა.

– რას კადრულობთ. პირველივე შემხვედრთან არ ვწვები!!!

– 20 ლარს მოგცემთ.

– მეძავი კი არ ვარ! წესიერი, გათხოვილი ქალი ვარ!

– მაშინ რამდენი?

– 50 ლარი...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს უსახლკარო მაწანწალას ჩვეულებრივ ადამიანთან?

– ნარკოტიკს თუ უპოვიან, უფასო ბინასა და სადილს მიიღებს!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რომელია ყველაზე საშინელი ფრაზა, რომელიც მამაკაცმა შეიძლება გაიგონოს, როდესაც სექსით არის დაკავებული?

– ძვირფასო, მოვედი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

მათემატიკა I-VI კლ.

გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მებონია, ლამარა ქურჩიშვილი

გამომცემლობა „ინტელექტი“

მომავალი სასწავლო წლიდან I-VI კლასებმა მათემატიკის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები უნდა მიიღონ. საამისოდ, თქვენთვის კარგად ცნობილი *გამომცემლობა „ინტელექტი“* და ავტორები: **გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია მებონია, ლამარა ქურჩიშვილი** გთავაზობენ მაღალი დონის ახალ სასწავლო წიგნებს:

- მოსწავლის სახელმძღვანელოები - I-VI კლასები,
- მასწავლებლის წიგნები - I-VI კლასები,
- მოსწავლის რვეულები - I-II კლასები.

სასწავლო მასალა შედგენილია ამავე ავტორების წინა წლებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების განახლების, გაუმჯობესებისა და შინაარსობრივი სრულყოფის საფუძველზე; გათვალისწინებულია მასწავლებლებისა და ექსპერტების მოსაზრებები; მოსწავლის სახელმძღვანელოები შევსებულია მეთოდურად გამართული, მოსწავლეთათვის მისაწვდომი, ახალი, მრავალფეროვანი, საინტერესო მასალით; მოცემულია ინსტრუმენტები განმავითარებელი შეფასებისა და თვითშეფასებისთვის; დამატებულია კომპლექსური საპროექტო დავალებები. აქ აღმოაჩენთ ყველაფერს, რაც მოსწავლეთა მაღალი მათემატიკური განათლებისთვისაა აუცილებელი.

ყოველი კლასის სახელმძღვანელო რამდენიმე წიგნად დაიყო. მცირე მოცულობის წიგნები უთუოდ გააადვილებს მათ გამოყენებას.

არსებითი და უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მასწავლებლის წიგნებმა – წარმოდგენილია ყოველი გაკვეთილის სცენარი, ამოხსნილია თითქმის ყველა ამოცანა. ამასთანავე, მითითებულია ამოცანების ამოხსნების სხვადასხვა ხერხი. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას ემსახურება პრაქტიკული შინაარსის ამოცანები. აქვეა მითითებები სასწავლო პროცესში დამატებითი (ბეჭდური და ელექტრონული) რესურსების გამოყენების შესახებ.

ამ სახელმძღვანელოების გაცნობისას პედაგოგები უთუოდ დარწმუნდებიან, რომ შექმნილია მაღალი დონის, ორიგინალური, მოსწავლეთათვის მისაწვდომი და მათ საგანმანათლებლო მიზნებზე მორგებული, მიმზიდველი სახელმძღვანელოები. პედაგოგებს შეეძლებათ, ნებისმიერი აკადემიური დონის კლასში წარმატებით წარმართონ სასწავლო პროცესი.

რაც მთავარია, სახელმძღვანელოებმა 2018 წლის კონკურსში ქულების მაღალი მაჩვენებლებით გადალახა გრიფის მინიჭების ბარიერი.

საკონტაქტო ტელეფონები:
032 225 05 22; 593 25 05 22